პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (11364)
ოთხშაბათი
11
მარტი
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

**დღეს ნომერშია:**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ (1-ლი გვერდი).
არჩევნების შესახვედრად (1-ლი გვერდი).
გულითადობის ვითარებაში (მე-2 გვერდი).
შვიდწლედის ადამიანები (მე-2 გვერდი).
ამ მიზნის მისაღწევად ღირს ვიშრომოთ! (მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში — საქართველოს სს რესპუბლიკაში სასარგებლო ნადირო ფაუნის დაცვის ღონისძიებათა გაძლიერებისა და გამრავლების შესახებ (მე-3 გვერდი).
ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ (მე-3 გვერდი).
უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. წლითიწლობით განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. უდიდესი მუშაობის მეოხებით, რასაც პარტია, მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან მოსახლეობის კომუნისტური აღზრდისათვის, ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა სისხლისსამართლებრივი დამნაშავეობა და მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება. საბჭოთა მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა თავდადებით შრომობს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, პატიოსნად ეკიდება თავის საზოგადოებრივ მოვალეობას, წმიდად იცავს საბჭოთა კანონებს და პატივს სცემს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არიან პირები, რომლებიც არ იცავენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, მთვრალი მიდიან საზოგადოებრივ ადგილებში, ხულიგნურ მოქმედებასა და სხვა დანაშაულს სჩადიან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლია ის, რომ წესრიგის დამრღვევებზე საზოგადოების ზეგავლენის უდიდესი ძალა ჯეროვნად არ არის გამოყენებული. ცალკეულ პირთა საძრახის საქციელს იშვიათად განიხილავენ მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, სტუდენტებისა და მოსწავლეების კრებებზე, არ გამოაქვთ კოლექტივის სამსჯავროზე.

ამჟამად მშრომელთა შეგნებულობისა და პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების ვითარებაში ამორალურ, ანტისაზოგადოებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოები, არამედ ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს უმთავრესად ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართოდ ჩაბმის გზით. ამ მხრივ უნდა წავახალისოთ მილიციის ხელშემწყობი ახალგაზრდობის ბრიგადების, კომკავშირული შტაბების, ნებაყოფლობითი რაზმების მუშაობის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა სხვა ფორმის აქტიური მონაწილეობის გამოცდილება.

განაზოგადეს რა ეს დადებითი გამოცდილება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა ფართო ჩაბმის მიზნით მიიღეს მშრომელთა მრავალი წინადადება, რომ შეიქმნას საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებსა და სახლმმართველობებში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ ნებაყოფლობითს სახალხო რაზმებს ხელმძღვანელობენ რაიონული (საქალაქო) შტაბები, რომლებშიც შედიან პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლნი და რაზმების ცალკეული მეთაურები. რაზმების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობის საწყისებზე მოწინავე მუშებით, მოსამსახურეებით, კოლმეურნეებით, სტუდენტებით, მოსწავლეებითა და პენსიონერებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახეს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ჩაუნერგონ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდობას სკოლაში, სასწავლებელში, ოჯახში, ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში დისციპლინისა და ქცევის წესების დაცვის მტკიცე ჩვევები; მოაწყონ მათთვის საბჭოთა კანონების განმარტება შესაბამისი ფორმით.

შინაგან საქმეთა დაწესებულებებს, პროკურატურის, იუსტიციისა და სასამართლოს ორგანოებს ეს დადგენილება ავალებს გააძლიერონ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, შემოიღონ საზოგადოებრივი წესრიგის ბოროტად დამრღვევთა საჯარო გასამართლება უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, ამასთან საჭირო შემთხვევებში მოიწვიონ საზოგადოებრივი ბრალმდებლები. აღნიშნული ორგანოები აგრეთვე მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება ნებაყოფლობითს სახალხო რაზმებს მათს საქმიანობაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს პროექტი დროებითი დებულებისა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ და დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს დაამტკიცონ იგი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შესახებ დროებითი დებულების პროექტით გათვალისწინებულია, რომ ნებაყოფლობითს სახალხო რაზმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, როგორც წესი, არანაკლებ 18 წლის ასაკისა პირადი განცხადებების საფუძველზე, რომლებიც მათ შეაქვთ პროფკავშირულ, კომკავშირულ კომიტეტებში ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და იმ კოლექტივის კრების რეკომენდაციით, რომელშიც ისინი შედიან.

რაზმების ძირითადი ამოცანებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ, აგრეთვე მონაწილეობა ახსნა-განმარტებითს მუშაობაში, რასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოსახლეობაში ეწევიან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვისათვის.

სახალხო რაზმები მთელ თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საბჭოთა კანონების მოთხოვნებით, იმყოფებიან ამ კანონების მფარველობაში და მუშაობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონტაქტით.

რაზმელებს ევალებათ დაიცვან მოქალაქეთა პატიოსნება და ღირსება, მიიღონ საჭირო ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა ასაკვეთად, ზეგავლენა მოახდინონ დამრღვევებზე, უწინარეს ყოვლისა, დარწმუნებისა და გაფრთხილების გზით. რაზმელები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ არასამუშაო დროს და თან აქვთ რაზმელის მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

დროებითი დებულების პროექტით განსაზღვრულია ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების სტრუქტურა, მათი უფლება-მოვალეობანი, აგრეთვე რაზმელის მოვალეობანი და უფლებები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს რა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა ჩაბმის დიდი საერთო-სახალხო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, დაავალეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს განახორციელონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობის შესახებ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ყველა მუშა, კოლმეურნე და საბჭოთა ინტელიგენტი მოიწონებს ამ ღონისძიებებს და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას მათს განხორციელებაში.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს

**ბერლინი**, 9 მარტი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად, ძმურად მიესალმა პრეზიდენტს. მათ შორის გაიმართა გულითადი საუბარი. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ვილჰელმ პიკს ეწვივნენ აგრეთვე ვ. ულბრიხტი, ო. გროტევოლი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩავიდა ვარშავაში

**ვარშავა**, 9 მარტი. (საკდესი). დღეს ვარშავაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის III ყრილობაზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან ამხანაგები: ნ. გ. იგნატოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ვ. პ. მჟავანაძე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ვ. პოდგორნი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ნ. ლარიონოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიაზანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ე. ლობანოვი — ბელორუსიის კომპარტიის ვიტებსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრიდან დელეგაციას ახლდა სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი.

მთავარ ვაგზალზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ზავადსკი, ი. ლოგასოვინსკი, ე. ოხაბი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

# არჩევნების შესახვედრად

★

## დიადი მეგობრობა

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). ქართველი ფერომდნობელები გულდასმით გაეცნენ თბილისელ ელმავალმშენებელთა და „ზაპოროჟსტალის“ მეტალურგთა კეთილშობილურ თაოსნობას — შვიდწლედის პირველი წლისა და შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების თაობაზე. ზესტაფონელმა მეტალურგებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ პატრიოტულ წამოწყებას, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს ვადამდე შეასრულონ 1959 წლის გეგმა და გამოადნონ ათასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი. პირველ და მეორე საამქროს კოლექტივებმა იკისრეს წლიური გეგმა შეასრულონ 21 დეკემბრისათვის, დაზოგონ 2,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, სამშობლოს მისცენ მილიონნახევარი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა: შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს ორი თვით ადრე, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 11 პროცენტით, თვითღირებულება შეამციროს 14 პროცენტით, მასალების მომჭირნეობით ხარჯვით, შრომის მოწინავე მეთოდების, ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვით ქვეყანას მისცეს ათეულ მილიონობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები და კვლავ გააგრძელეს ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება მოძმე ზაპოროჟიელ და ალავერდელ მეტალურგებთან.

* * *

**რამდენიმე** წელია გრძელდება ტრადიციული შეჯიბრება ზაპოროჟიელ და ზესტაფონელ მეტალურგებს შორის. უკრაინელი და ქართველი ფერომდნობელები გულითადი მეგობრობით არიან დაკავშირებულნი. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, იბრძვიან მეტი ლითონისათვის.

ამ დღეებში ზაპოროჟიეში გაემგზავრა ზესტაფონელ ახალგაზრდა მეტალურგთა ერთი ჯგუფი. დელეგაციაში შედიან: ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ყანჩაველი, პირველი საამქროს მუშა-ქალი ნელი თხელიძე და მდნობელი უ. ღვინჯილია, მეორე საამქროს მუშა ზ. ჯულელი და ცვლის ოსტატი გ. ასათიანი, ლაბორანტი ნათელა გველესიანი და მესამე საამქროს მეაპარატე შ. კილენჯერიძე.

ქართველი მეტალურგები შეაჯამებენ გასული წლის შეჯიბრების შედეგებს, გააფორმებენ შეჯიბრების ხელშეკრულებას 1959 წლისათვის, გაეცნობიან ქარხნის მუშაობასა და ადამიანებს, გაუზიარებენ თავიანთ საწარმოო გამოცდილებას.

## თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

10 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებას ესწრებოდა თბილისთან შეჯიბრებაში ჩაბმული ლატვიის სსრ დედაქალაქის რიგის კომუნისტთა და მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

კრებამ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ა. გეგეშიძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი და თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მრეწველობისა და მშენებლობის დარგში 1959 წელს“ და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივნის ს. კ. ჩხარტიშვილის ინფორმაცია თბილისის მშრომელთა ვალდებულებების შესახებ ქალაქ რიგის მშრომელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში 1959 წელს.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ნ. გოგლიძემ, „მთავართბილმშენის“ უფროსმა გ. მ. ქართველიშვილმა, ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ზ. მ. რუსიამ, თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორმა ა. ე. ანტონოვამ, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორმა გ. ი. მღებრიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხელიშვილმა და სხვებმა.

კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით მიესალმნენ მოძმე ლატვიელი ხალხის წარმომადგენელს, ქალაქ რიგის დელეგაციის ხელმძღვანელს, ლატვიის კომუნისტური პარტიის რიგის ორგანიზაციის მოსკოვის რაიკომის პირველ მდივანს ი. დ. კლავინშს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ვ. კოვანოვმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება ამხ. გეგეშიძის მოხსენების გამო.

კრებამ განიხილა და დაამტკიცა პროექტი თბილისის მშრომელთა ვალდებულებებისა სოციალისტურ შეჯიბრებაში რიგის მშრომელებთან 1959 წლისათვის. ქალაქის პარტიულმა აქტივმა საქართველოს დედაქალაქის ყველა კომუნისტისა და მშრომელის სახელით იკისრა ვალდებულება შვიდწლიანი გეგმა შეასრულოს ვადამდე — ექვს წელიწადში.

კრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი).




ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

## ახალ საარჩევნო ოლქში

**ბათუმი.** („კომ.“ საკ. კორ.). დიდი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკაში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქ. ბათუმის ენგელსის საარჩევნო ოლქის მაგალითი, რომელიც წელს პირველად შეიქმნა. სულ რაღაც სამი ათეული წლის წინათ აქ ურრანი ტყე და გაუვალი ჭაობი იდგა. ახლა იგი დასერილია ფართო მოკირწყლული და მოასფალტებული ქუჩებით. აქ არის ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები და ბიბლიოთეკები, მაღაზიები, საბავშვო ბაგები და ბევრი სხვა დაწესებულება.

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანამ, რომელიც აღნიშნული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზეა, განვლილ ოთხ წელიწადში ათობით ახალი სახის მანქანა-მოწყობილობის წარმოება აითვისა, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულის სახეხი, სტერელიზატორები და საკონსერვო დ ღვინის მრეწველობის სხვა მანქანები. ამ პერიოდში მანქანათმშენებელთათვის აშენებულია 4 მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქარხნის საამქროები რეკონსტრუირებულია.

ქარხანაში შრომისა და დასვენების შესანიშნავი პირობებია. ამან ხელი შეუწყო ახალი ადამიანების, ახალი სპეციალისტების აღზრდას. ქარხნის ამწყობ საამქროში მუშაობს აჭარაში პირველი ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ დუნდუა ხელმძღვანელობს. აქ ბევრნი არიან შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებას. მ. დუნდუას ბრიგადამ იანვრის დავალება 312 პროცენტით შეასრულა. ამჟამად ბრიგადა არჩევნებისადმი მიძღვნილ საპატიო ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს.

წარმატებით მუშაობენ ოლქის ტერიტორიაზე არსებული სხვა საწარმოებიც — ლუდის ქარხანა, ხორცკომბინატი, საყუთე ქარხანა და სხვ.

ხორცკომბინატის გვერდით შენდება მძლავრი საავეჯო კომბინატი, რომელიც ორჯერ მეტ პროდუქციას გამოუშვებს, ვიდრე ამჟამად მოქმედი საავეჯო ფაბრიკა.

რაც გაკეთდა, კარგია, მაგრამ კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდება ეს უბანი მიმდინარე შვიდწლედში. მარტო წელს აშენდება ერთი დიდი კვარტალი, რომელზეც მოთავსდება რამდენიმე დაწესებულება და ორგანიზაცია, აიგება 8 საცხოვრებელი სახლი.

ასეთია მოკლედ ის ცვლილებები, რაც განვლილი ოთხი წლის მანძილზე მოხდა ამ ერთ საარჩევნო ოლქში, რომელიც ქ. ბათუმში წელს პირველად შეიქმნა.

ამჟამად ოლქში დიდი გამოცოცხლებაა. ოლქის მცხოვრებნი ემზადებიან არჩევნებისათვის. ისინი 15 მარტს ერთსულოვნად გამოცხადდებიან საარჩევნო უბნებში და სიხარულით მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

**დ. პაიჭაძე.**

## შვიდწლედის ფონდში 7 მილიონი მანეთი

**რუსთავი.** (საკ. კორ.). მეტალურგებმა ზაპოროჟიელთა მიმართვის პასუხად ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს: გეგმის გადამეტებით წელს სამშობლოს მისცემენ ათასობით ტონა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაზოგავენ 1,5 მილიონ მანეთს. რუსთავის მეტალურგები შვიდწლედის ფონდში 7 მილიონ მანეთს შეიტანენ.

ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით სრულდება. მარტის პირველი რიცხვებისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულობით ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა საგლინავი საამქროს კოლექტივი, რომელმაც ქახანაში თებერვლის მაჩვენებლების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა.

## შეხვედრები ამომრჩევლებთან

### მაღალი ნდობა

პლეხანოვის სახელობის კლუბი ამ დღეებში სავსე იყო თბილისის ლენინის № 6 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებით. ისინი მოვიდნენ აქ, რათა შეხვედროდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორ მჭედელს კონსტანტინე მიხეილისძე ილურიძეს.

კრებაზე სიტყვებით გამოსულებმა კ. ილურიძე დაახასიათეს როგორც საუკეთესო მჭედელი, ახალგაზრდა კადრების გულისხმიერი აღმზრდელი.

ამხ. კ. ილურიძემ მადლობა გადაუხადა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს იმ მაღალი პატივისათვის, რომელიც მას დასდეს და აღუთქვა, რომ არ დაზოგავს ძალას და ენერგიას ამ ნდობის გასამართლებლად.

### ცნობილი მეჩაიე

**ოჩამჩირე.** (საკ. კორ.). სოფლების მოქვისა და ჰლოუს ამომრჩევლებმა შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს მოწინავე მეჩაიეს გული ტისოს ასულ ავიძბას.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს ვ. დარმილოვს.

— მოქვის № 13 საარჩევნო ოლქში, — განაცხადა მან, — კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე გული ავიძბა. იგი არა მარტო საუკეთესოდ შრომობს ჩაის პლანტაციებში, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც არის.

ტრიბუნაზეა კოლმეურნე ტ. ჯოპუა. მან დამსწრეთ მოუწოდა საბჭოების არჩევნების დღეს ახალი წარმატებებით შეხვდნენ და ერთსულოვნად მისცენ ხმა დეპუტატობის კანდიდატს გ. ავიძბას.

თავიანთი კანდიდატის შესახებ გულთბილად ილაპარაკეს მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, მერკურის და მოქვის კოლმეურნეობების წარმომადგენლებმა ვ. ჩაჩუამ, ა. თარბამ, ი. კვეკვესკირმა და სხვ.

### მისი პირობა

თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს არჩევნების № 126 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ცენტრალური სარემონტო სახელოსნოს ლითონის ჩამომსხმელს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე წიკლაურს.

დეპუტატობის კანდიდატის შრომითი გზა დამსწრეთ გააცნო ნდობით აღჭურვილმა პირმა ბ. მეისერმა.

წინასაარჩევნო კრებაზე გამოსულმა ამომრჩევლებმა გულთბილად ილაპარაკეს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატზე.

დასასრულ დეპუტატობის კანდიდატმა ნ. წიკლაურმა თავის სიტყვაში პირობა დადო, რომ გაორკეცებული ენერგიით იმუშავებს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**შ. როსტომაშვილი.**

## მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

### აი, სად როგორი თესლი აქვთ

**ჩვენი** რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უყურადღებოდ ეკიდებიან საგაზაფხულო კულტურების თესლის გაწმენდას და კონდიციამდე აყვანას. მიმდინარე წლის 1 მარტისათვის ახალქალაქის რაიონს საჭირო თესლიდან კონდიციური ჰქონდა 31,6 პროცენტი, ბოგდანოვკის — 52,6, ხაშურის — 50, ქარელის — 37,5, გორის — 39,5, კასპის — 70,6, ბორჯომის — 66,2, წალკის — 74,1, თიანეთის — 53,4, ყვარლის — 48,3, საგარეჯოს — 76,8, დმანისის — 48, მახარაძის — 38,4, ჭიათურის — 62,4, საჩხერის — 55, ცაგერის — 8,6, მესტიის—28,1 პროცენტი.

ამავე პერიოდისათვის რესპუბლიკაში სიწმინდის მხრივ დაწუნებული იყო 64.059 ცენტნერი თესლი, აღმოცენების — 7.613 ცენტნერი, ხოლო სინესტის მხრივ — 57.180 ცენტნერი.

### მზესუმზირას თესვა დაიწყო

**ყვარელი.** გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ 9 მარტს დაიწყო მზესუმზირას თესვა, პირველ დღეს დაითესა 25 ჰექტარი. ამჟამად კოლმეურნეები თესავენ ქარხალსა და რეჰანს. თესვას 15 მარტამდე დაამთავრებენ.

საგაზაფხულო თესვის სამუშაოებში თავი ისახელეს მექანიზატორებმა თ. ტორამიშვილმა, ვ. ვარადაშვილმა, გ. ჯოხაძემ. თვითეული მათგანი დღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ანაღდებს.

### ჰექტარზე 140 ცენტნერი ბოსტნეული

**მცხეთა.** („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა კოლმეურნეობებში. მებოსტნეები ენერგიულად შრომობენ წელს მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის. მასობრივად დაიწყო ბოსტნეული კულტურების თესვა კვალსათბურებში.

ამ სამუშაოს ორგანიზებულად შეუდგნენ წილკნის, ძალისის და მუხრანის კოლმეურნეობებში. კოლმეურნეებმა დროულად მოამზადეს ნიადაგი და დაიწყეს პამიდორისა და კომბოსტოს თესვა. მებოსტნეები პირობას იძლევიან მიიღონ ჯანსაღი ჩითილი და უზრუნველყონ საშუალოდ ჰექტარზე ბოსტნეულის 140 ცენტნერი მოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულითადობის ვითარებაში

## ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია დიდი ბერლინის მაგისტრატს

**ბერლინი**, 9 მარტი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი, ეწვივნენ დიდი ბერლინის მაგისტრატს. საბჭოთა მთავრობის მეთაურის შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ათასობით მცხოვრებთან, რომელნიც შეიკრიბნენ ქალაქის რატუშის შენობასთან, გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა წლითიწლობით მზარდი მეგობრობის, იმ სიმპათიისა და მადლობის მკაფიო დემონსტრაციად, რომლებითაც ბერლინელები გამსჭვალული არიან საბჭოთა ხალხისა და მისი მთავრობისადმი განუწყვეტელი ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანია მდგომარეობის ნორმალიზაცია ბერლინში.

რატუშასთან შეკრებილნი ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმნენ მხურვალე ტაშით. იგი შედის შენობაში, სადაც მას შეხვდნენ დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფ. ებერტი, დემოკრატიული პარტიების ბერლინის ორგანიზაციების თავმჯდომარეები, მაგისტრატის წევრები.

ფ. ებერტი ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა დიდი ბერლინის მოსახლეობისა და დეპუტატთა საქალაქო კრების სახელით.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა საპატიო სტუმრების წიგნში — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ოქროს წიგნში" გააკეთა შემდეგი ჩანაწერი:

დიდი სიხარულით მივიღე მოწვევა ვსტუმრებოდი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის დიდი ბერლინის მაგისტრატს.

გამოვთქვამ რწმენას, რომ შორს არ არის დრო, როცა ბერლინის მთელი მოსახლეობა განთავისუფლდება საოკუპაციო რეჟიმის ნაშთებისაგან და შეძლებს თავისი ძალები მთლიანად მოახმაროს ქალაქის მეურნეობისა და კულტურის მშვიდობიან განვითარებას.

ვუსურვებ დიდი ბერლინის მაგისტრატს ყოველგვარ წარმატებას სოციალისტურ მშენებლობაში, ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, შემდგომ პროგრესსა და აყვავებაში.

**ნ. ხრუშჩოვი.**
1959 წლის 9 მარტი.

* * *

მოკლე სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაიხადა იმ განსაკუთრებულ გულითადობისათვის, რომელსაც იჩენენ მის მიმართ როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მიმართ. მან აღნიშნა, რომ ეს მიღება გამოხატავს თბილ გრძნობებს საბჭოთა ხალხისადმი. დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა ბერლინის მოსახლეობას უსურვა შემდგომი წარმატება და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცება.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი გავიდა რატუშის აივანზე. მას მხურვალედ მიესალმა ათასობით ადამიანი. გაისმის შეძახილები: „ფროინდშაფტ!", „მეგობრობა!", „ვაშა!". ნ. ს. ხრუშჩოვმა მიმართა შეკრებილთ და თქვა, რომ საჭიროა განმტკიცდეს მეგობრობა და ძმური კავშირი საბჭოთა და გერმანელ ხალხებს შორის.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამ სიტყვებზე ბერლინელებმა სამგზის უპასუხეს „ფროინდშაფტ!".

## გრანდიოზული მიტინგი ბერლინში

**ბერლინი**, 9 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს დემოკრატიული ბერლინის უდიდეს დარბაზ „ვერნერ ზეელენბინდერჰალეში" გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა გრანდიოზული მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას ბერლინში.

გაჩირაღდნებულ დარბაზში, სადაც დიდი სახალხო კრებები და პარტიული ყრილობები იმართება, შეიკრიბა ქალაქის ორივე ნაწილის ათასობით ბერლინელი. პრეზიდიუმის თავზეა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსა და გერმანიის ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ძმურ ერთიანობას. აქ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მოწვევით მოვიდნენ მუშები და მოსამსახურეები, მოსწავლეები და დიასახლისები. ათეულ ათასობით ადამიანი შეიკრიბა შენობის ახლოს მდებარე მოედანზე და ქუჩებში, სადაც დადგმულია რეპროდუქტორები.

მიტინგის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას მართავენ, როცა დარბაზში შემოდიან ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ულბრიხტი, ო. გროტევოლი, სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. დიკმანი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ფ. ებერტი, ა. ნოიმანი, ვ. შტოფი, ა. ნორდენი, ბ. ლაიშნერი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ე. კორენსი, დემოკრატიულ პარტიათა ხელმძღვანელები ა. ბახი, ჰ. ლოხი, ლ. ბოლცი, ე. გოლდენბაუმი და სხვები. დარბაზში გრიალებს ოვაცია, გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის პატივსაცემად, შეძახილი „ვაშა!".

მიტინგი გახსნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ე. კორენსმა. მან თქვა, რომ ბერლინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ამაყობენ იმით, რომ ესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს—დიდი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს. მისი ვიზიტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთგული მეგობრები ჰყავს.

ე. კორენსი სიტყვას აძლევს ნ. ს. ხრუშჩოვს. კრების მონაწილენი მქუხარე ოვაციითა და მისასალმებელი შეძახილებით ხვდებიან ნ. ს. ხრუშჩოვის გამოჩენას ტრიბუნაზე.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ვ. ულბრიხტმა, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვ. ულბრიხტის სიტყვები მოსმენილ იქნა უდიდესი ყურადღებით, არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით, შეძახილებით „ვაშა!", „ფროინდშაფტ!" („მეგობრობა"), შეძახილებით სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის პატივსაცემად.

მიტინგი დამთავრდა. მისი მონაწილენი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

**ა. ტიუპაევი,**
**ვლ. ივანოვი.**

### საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

## საყოველთაო სახალხო ლაშქრობა ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი: პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები მუშათა და მოსამსახურეთა მასობრივი მოძრაობის განვითარებაში ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის, წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და უკეთ გამოყენებისათვის და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ, ნათქვამია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში, აღნიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს გადამწყვეტი ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობის, სახალხო დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ და მოეწყოს საყოველთაო სახალხო ლაშქრობა ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის. მკაცრი ეკონომია და ყაირათიანობა ხელს შეუწყობენ შვიდწლიანი გეგმის ძირეული პრობლემის — კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების პრობლემის წარმატებით გადაჭრას. პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ჩვენი ქვეყნის მშრომელები მტკიცედ ეძებენ ახალ რეზერვებსა და შესაძლებლობებს პროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

წარმოების რეზერვების გამოყენებისა და ეკონომიის მკაცრი რეჟიმის საფუძველზე ბაშკირეთის მენავთობეებმა ვალდებულება იკისრეს დაზოგონ 1.000 ტონა სარგავი და საზურგე მილი, 1.500 სატეხი, 1.000 ტონა ცემენტი, 50 ტონა ფოლადის ბაგირი და ამ გზით გეგმის გადამეტებით გაბურღონ სულ ცოტა 20 ათასი მეტრი ჭაბურღილი. პერმის ეკონომიური რაიონის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლედის ფონდში შეიტანონ 1 მილიარდი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, აქედან 150 მილიონი მანეთი 1959 წელს. ეს დასახულია განხორციელდეს წარმოების შემდგომი ტექნიკური პროგრესის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის ეკონომიის საფუძველზე.

ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის ლაშქრობაში ჩაებნენ კუზბასის მაღაროელები, ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშები და მოსამსახურეები, ლენინგრადის, ხარკოვის, მინსკის მანქანათმშენებლები, გორკელი ავტომობილმშენებლები.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ამ მოძრაობას, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და საბჭოებს მხარი დაუჭირონ და ფართოდ გაავრცელონ ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა ინიციატივა, აგრეთვე ფართოდ განუმარტონ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის, წარმოების ხარჯების შემცირებისათვის, მეურნეობის განმტკიცებისათვის. (საკდესი).

### ხალხის რჩეულნი

# შვიდწლედის ადამიანები

## ვაზის ბარაქისათვის მებრძოლი

სტუმრები რომ მაგიდას მიუსხდებიან, თუნდაც რომელიმე მათგანი ღირსი არ იყოს, ზოგჯერ შეაქებენ, ცამდე აიყვანენ. თითქმის ასე მოხდა ამ ათიოდე წლის წინათ ჭიკაანშიც. რთველი დამთავრდა. რაღაც ასიოდე გოდორი ყურძენი სახელმწიფოს მიჰყიდეს, ამდენივე თვითონ დაწურეს, ჩაამჭრეს, ალაზნის პირას სუფრა გაშალეს და სადღეგრძელო წარმოთქვეს „ბარაქიან შემოდგომას გაუმარჯოსო". მორიგეობით ერთმანეთს მარჯვენაც დაულოცეს.

რა იყო სადღეგრძელო ან დასალოცი? არაფერი! ოცი ჰექტარი ვენახი ჰქონდათ და ისიც მოუვლელობის გამო გამეჩხერებული, დაკნინებული. ჰექტარზე საშუალოდ ცამეტი ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

ეს ამბავი კარგად ახსოვს აბესალომ ხუციშვილს. მაშინ იყო, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იგი კოლმეურნეობის ბუდრუგანა კანტორაში მიიხმო.

— ხორბლისა და სიმინდის მოყვანა გეხერხება, ბრიგადაში გემადლიერებიან. ეს კარგია, მაგრამ ახლა მევენახეობაში გვჭირდები, ხომ ხედავ, რომ ყურძნის მოყვანაში მეზობლები გვჯობნიან!

აბესალომი ვენახში მუშაობაზე დათანხმდა და პირობა დადო, რომ ყურძნის უხვი მოსავლით კოლმეურნეობას გაახარებდა. მის მაგალითს სხვა ბეჯითებმაც მიბაძეს. ა. ხუციშვილმა, ლ. ბრეგვაძემ, პ. ხვედელიძემ და სხვებმა 5,64 ჰექტარი ვენახი ჩაიბარეს მოსავლელად. მერგოლურობა აბესალომს დააკისრეს.

ნაკვეთები ერთხელ კი არა, რამდენჯერმე შეამოწმეს, ვაზები დათვალეს და ცოტა არ იყოს დაღონდნენ. სიმეჩხრე ორმოც პროცენტს აღწევდა. პირველ რიგში სწორედ მის წინააღმდეგ გააჩაღეს ბრძოლა. სადაც მოსახერხებელი იყო, ვაზი გადაწვენით გაამრავლეს, ზოგან კი ნამყენი გამორგეს. დაყამირებული ნიადაგი ღრმად მოხნეს, ძირები გამობარეს, მინერალური და ორგანული სასუქები უხვად შეიტანეს. არც სხვა სამუშაოები დაუგვიანებიათ. ასე რომ ოთხ-ხუთ წელიწადში ზვარი პატარძალს დაამსგავსეს.



იმდენი ყურძენი, რაც შარშან მიიღეს, არასოდეს არ მიუღიათ. 197,5 ცენტნერი თვითეულ ჰექტარზე — აი ხუციშვილის რგოლის გასული წლის ნაამაგარი. თვითონ მერგოლურმა მისთვის მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარ ვენახში 216 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, გეგმა კი ამის მესამედსაც არ ითვალისწინებდა.

— შვიდწლიანი გეგმა, — თქვა აბესალომ ხუციშვილმა, — ჩვენი მოქმედების საბრძოლო პროგრამაა. მის შესასრულებლად ყველამ ახლებურად, გაორკეცებული ენერგიით უნდა ვიმუშაოთ. რგოლის წევრთა სახელით გპირდებით, რომ შვიდწლედის პირველ წელს თვითეულ ჰექტარ ვენახზე სულ ცოტა 250 ცენტნერ ყურძენს მოვიყვანთ.

თქვეს და შეასრულებენ კიდეც. ამას რგოლის წევრთა სიბეჯითე ადასტურებს.

* * *

ამას წინათ სოფლის კლუბი ხალხით გაიჭედა. კოლმეურნეებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის შერჩევაზე უნდა ემსჯელათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. მანძულაშვილმა თქვა და ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი — დეპუტატობის კანდიდატად ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატი აბესალომ ხუციშვილი წამოაყენეს.

ჭიკაანელებს გავაზელებმაც შეუერთეს ხმა. 15 მარტს ჭიკაანის №173 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას მევენახეს, რომელმაც ვაზის ბარაქით ასახელა ჩვენი სამშობლო.

**ს. ქოჩლაძე,**
**ლ. ველიაშვილი.**

## უჩადროდ, ვაჟკაცურად...



იყო დრო, როცა აჭარელ ქალს არათუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის, შინიდან უჩადროდ გამოსვლის უფლებაც არ ჰქონდა. ასე იყო ჯერ კიდევ ჩემს მახსოვრობაში, დღეს კი ჩვენს სოფელში ქალები ყველა საქმეში უჩადროდ, ვაჟკაცურად უდგანან მხარში მამაკაცებს და მათთან ერთად წყვეტენ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და სამეურნეო ამოცანებს. მარტო ის ფაქტი, რომ ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ქალი თავიანთ თავმჯდომარედ ამირჩიეს, ბევრს ამბობს ჩვენი ხალხის, ჩვენი ცხოვრების დიდ გარდაქმნაზე.

კოლმეურნეები მენდობიან, სჯერათ ჩემი და კეთილსინდისიერად ასრულებენ ჩემს მითითებებს. ცხადია, უამისოდ ვერც შევძლებდი მეურნეობის გაძღოლას.

დღეს ჩვენი კოლმეურნეობა მოწინავედ ითვლება ქობულეთის რაიონში. ამაში დიდია ქალების შრომითი წვლილი. ჩაის პლანტაციებს ძირითადად ქალები უვლიან და პატრონობენ, ხოლო მეჩაიეობა ჩვენთან წამყვანი დარგია.

ციხისძირელი კოლმეურნეები საქმით უპასუხებენ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენი ვალდებულებაა წელს ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 5.300 კილოგრამამდე ავიყვანოთ და მრეწველობას ჩავაბაროთ სულ მცირე 550 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული, შვიდწლედში გავაშენოთ 26 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია და 40 ჰექტარი ციტრუსოვანთა ბაღები.

ჩვენმა მეცხოველეებმა პირობა დადეს წელს საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღონ 2.300 კილოგრამი რძე, ხოლო შვიდწლედის ბოლოსათვის საშუალო წველადობა აიყვანონ 3 ათას კილოგრამამდე.

შვიდწლედის მანძილზე კიდევ უფრო აშენდება და დამშვენდება ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი: დამთავრდება ახალი კლუბის მშენებლობა, აიგება წყალსადენი და სხვ.

ყველა ამ საქმეში მამაკაცებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქალები.

ახლახან ჩემმა თანასოფლელებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს. ამ ნდობას გავამართლებ.

**გოგოლა კაიკაციშვილი,**
ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## შრომისმოყვარე მერგოლური

**მდინარე** ენგურის მარცხენა ნაპირზე გადაშლილია ნოყიერი მინდვრები და საძოვრები. ათასობით ჰექტარ მიწის ნაკვეთზე აბიბინებულ სიმინდის ყანებში გამვლელი ყოველთვის შეამჩნევს ყველაზე უკეთესად მოვლილ და გახარებულ ფართობს, რომელსაც 15 ჰექტარი უჭირავს. ამ ფართობზე შემოდგომით სიმინდს ყოველთვის უხვად ასხია ჯანსაღი ტაროები. თვითეულ ძირ მცენარეზე სამი და უფრო მეტი ტაროა. ეს ნაკვეთი იმ ახალგაზრდულ რგოლს ეკუთვნის, რომელსაც სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი კოტე სანდუხაძე ხელმძღვანელობს.

ახალგაზრდული რგოლი ჯერ კიდევ 1955 წელს დაკომპლექტდა. მასში 15 ახალგაზრდა გაერთიანდა. მათ გადაწყვიტეს თავიანთი შრომით ესახელებინათ მშობლიური კოლმეურნეობა. სიტყვა საქმედ აქციეს. სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა არათუ ზუგდიდის რაიონში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაშია ცნობილი იმ ახალგაზრდული რგოლით, რომელსაც ყოველწლიურად მოჰყავს სიმინდის სარეკორდო მოსავალი.

რგოლის წევრებმა 1957 წელს 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 84 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღეს, ხოლო შარშან — 90 ცენტნერი. მერგოლურმა კ. სანდუხაძემ მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე იმავე წელს მიიღო 161 ცენტნერი სიმინდი, ხოლო შარშან — სარეკორდო მოსავალი, ჰექტარზე 177 ცენტნერი.



ახალგაზრდულმა რგოლმა სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ახალგაზრდულ რგოლებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის 1957 წლის მაჩვენებლებით შარშან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. ამ დროშას იგი დღემდე ინარჩუნებს.

პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა რგოლის წევრებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მიმდინარე წელს სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად. რგოლის წევრთა ვალდებულებაა 14 ჰექტარი სიმინდის ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი მარცვალი მიიღონ. მერგოლურმა კ. სანდუხაძემ კი იკისრა პირადად 1 ჰექტარ ფართობზე 200 ცენტნერი სიმინდის მოყვანა.

შრომისმოყვარე და ენერგიული კოტე თანასოფლელებმა ოთხჯერ აირჩიეს ორსანტიის სასოფლო საბჭოს დეპუტატად. დეპუტატმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა სოფელში. თანასოფლელებმა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. მოწინავე მერგოლურის კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარა დარჩელის № 281 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ამ მიზნის მისაღწევად ღირს ვიშრომოთ!

**ჩვენი** პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის, პარტიის XX ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მშრომელებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის. შედეგებიც თვალსაჩინოა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, რომელმაც შეაჯამა განვლილ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გაწეული მუშაობის შედეგები, თავის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა მეცხოველეობის პროდუქტების და უწინარეს ყოვლისა ხორცის წარმოების გადიდების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა.

„მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის აღმავლობისათვის ნამდვილი ბრძოლა ჯერ კიდევ ჩაღდება, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი თავის მოხსენებაში დეკემბრის პლენუმზე, — რომ ეს პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა ადამიანები უხვად მიიღებენ მეცხოველეობის პროდუქტებს კვებისათვის, ხოლო მრეწველობა საჭირო ნედლეულს მიიღებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის წარმოებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად ღირს ვიშრომოთ!"

პარტიის XXI ყრილობამ დასახა კონკრეტული გზები საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისთვის. ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითს მხარი დაუჭირეს საქართველოს კოლმეურნეობებმაც და არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებით შეუდგნენ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას.

ამ მხრივ პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინა საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველომ", რომელმაც საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და ხორცის წარმოების გადიდების მიზნით მოსახლეობისაგან დაიწყო მოზარდეულის შესყიდვა. საგარეჯოელთა მაგალითს მიბაძეს რესპუბლიკის სხვა კოლმეურნეობებმაც. შეძენილი მოზარდეულის ნაწილს კოლმეურნეობები არჩევენ ჯოგის შემდგომი მომრავლებისათვის, მეორე ნაწილს კი აყენებენ სუქებაზე. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

კოლმეურნეობების მიერ ცალკეული პირებისაგან შეძენილი მოზარდეული და ძროხები უკეთეს პირობებში იმყოფებიან და მეტ პროდუქტებსაც იძლევიან.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემომაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. ამ კოლმეურნეობის წევრმა ხვთისო ყოჩიაშვილმა თავის ძროხაზე შარშან 757 კილოგრამი რძე მიიღო, ხოლო კოლმეურნეობამ იმავე ჯიშის თვითეულ საფურაქე ძროხაზე — 2.107 კილოგრამი. ასეთი მაგალითები ერთეული როდია. ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს თავიანთი ძროხები არტელისათვის მიეყიდათ. ასეც მოიქცნენ. ახლა ზემო მაჩხაანში მხოლოდ 15 კოლმეურნეს ჰყავს პირად საკუთრებაში ძროხა. ზემომაჩხაანელებს შესანიშნავი ფერმები აქვთ. მარტო საფურაქე ძროხების რაოდენობა 800-ს აღწევს. სწორედ ამან მისცა არტელს საშუალება დაეკმაყოფილებინა კოლმეურნეთა მოთხოვნი ლ ე ბ ა რძეზე. 1958 წლის მარტიდან დაიწყეს არტელის წევრებისათვის რძის მიყიდვა: შარშან სულ მიჰყიდეს 69,5 ტონა რძე. ახლა ყოველდღიურად იყიდება 350 კილოგრამი რძე. ასე რომ აქ კოლმეურნეობის წევრები საჭიროდ არ თვლიან პირად სარგებლობაში იყოლიონ ძროხები, რადგან მათი მოვლა-პატრონობა დიდ დროს ართმევთ, ხოლო სარგებლობას ბევრს ვერაფერს იღებენ.

როცა საგარეჯოელებმა მოსახლეობისაგან მოზარდეულის შესყიდვა გადაწყვიტეს, კრებაზე მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა გამოთქვეს სურვილი კოლმეურნეობისათვის თავიანთი ძროხები მიეყიდათ. მაგრამ ეს წინადადება არ იქნა მიღებული. კოლმეურნეებს განუმარტეს, რომ კოლმეურნეობა მაშინ შეიძენს ცალკე პირებისაგან ძროხებს, როცა მას შესაძლებლობა ექნება რძით და რძის პროდუქტებით დააკმაყოფილოს თავისი წევრები. ეს არის საკითხის სწორი გადაწყვეტა. სხვანაირად არც შეიძლება.

ცხადია, სწორია, როცა კოლმეურნეობები საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მიზნით მოსახლეობისაგან იძენენ პირუტყვს, მაგრამ, — როგორც ამხანაგი ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამბობდა, — ეს სამუშაო უნარიანად უნდა წარვმართოთ, არა ადმინისტრაციული გზით, არა ზევიდან მითითებით, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების ზრდის მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ დარწმუნდებიან თვით კოლმეურნეები, რომ ძროხების მიყიდვით მათი მატერიალური მდგომარეობა კი არ გაუარესდება, არამედ გაუმჯობესდება."

მაშასადამე, ასეთი ღონისძიების განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ კოლმეურნეობებში, სადაც კარგად არის განვითარებული საზოგადოებრივი მეცხოველეობა, სადაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის ხარჯზე შეიძლება დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილება რძეზე, როგორც ამას მოწინავე კოლმეურნეობებში აკეთ ე ბ ე ნ. მაგრამ თუ ეს არ ექნებათ და კოლმეურნეობები ისე დაიწყებენ მოწინავეებისათვის მიბაძვას, ეს კარგს არაფერს მოიტანს.

აქაო და საგარეჯოელთა პატრიოტულ თაოსნობას უნდა გამოვეხმაუროთო, ზოგიერთი რაიონის ცალკეულ, ეკონომიურად მოუმძლავრებელ კოლმეურნეობებში დაიწყეს მოსახლეობისაგან ძროხების შესყიდვა, ამასთან ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევით. თუმცა ასეთი სიგნალები ერთეულია, მაგრამ მაინც არის, და მსგავსი მავნე პრაქტიკა სასტიკად უნდა დავგმოთ. ადგილობრივმა ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ძირშივე უნდა აღკვეთონ ნებაყოფლობითი პრინციპის უხეში დარღვევის ყოველი გამოვლინება.

ყოვლად დაუშვებელია, როცა კოლმეურნეობა კოლმეურნეებისაგან იძენს მოზარდეულს თუ ძროხებს, ხოლო მათი შენახვისათვის ნორმალური პირობები არა აქვს. მაგალითად, მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შეძენილი მოზარდეული დღისით დაუდით საძოვარზე, ხოლო საღამოს პრიმიტიულ გომურებში აბინავებენ და საკვებად მხოლოდ დაკეპილ ჩალას აძლევენ. ასეთი სიგნალები ზოგიერთი სხვა რაიონიდანაც არის.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ კოლმეურნეობები მეტწილად იძენენ ნაკლები სიმსუქნის, თანაც სახარე მოზარდეულს, რომლებიც გამოსადეგია შემდგომში მხოლოდ სახორცედ და არა მერძეული პირუტყვის შესავსებად.

ამოცანა ის არის, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას მივუდგეთ სერიოზულად, საქმის ცოდნით, არ გამოვიჩინოთ აჩქარება, სიფრთხილით მოვეკიდოთ ძროხების შეძენის დროს ნებაყოფლობითი პ რ ი ნ ც ი პ ი ს მტკიცედ დაცვას, გამოვნახოთ გზები და საშუალებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, შევქმნათ ისეთი პირობები, როცა კოლმეურნე თვითონ იტყვის უარს პირად სარგებლობაში ძროხის ყოლაზე. ეს კი მაშინ იქნება, როცა საკოლმეურნეო ფერმა შეძლებს დააკმაყოფილოს არტელის წევრთა მოთხოვნილება რძის პროდუქტებზე.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა აღნიშნულიდან საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ. ყოველმხრივ დაგმობილ უნდა იქნას არასწორი და მავნე მოქმედება ცალკეულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისა, რომლებიც დაადგნენ კოლმეურნეებისაგან ძროხების მასობრივად შეძენის გზას, მაშინ როცა კოლმეურნეობებს აუცილებელი ეკონომიური პირობები არა აქვთ.

საჭიროა მთელი ძალღონე მოვახმაროთ რძისა და ხორცის წარმოების გადიდების ჯერ კიდევ გამოუვლინებელი რეზერვების გამოყენებას. გადაჭრით გავაუმჯობესოთ მერძეული პირუტყვის მოვლა-პატრონობა პირველ რიგში კვების გაძლიერებით, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით; მივაღწიოთ ნამატის მთლიანად შენარჩუნებას და სუქებაზე დაყენებული პირუტყვის სადღეღამისო მატების თვალსაჩინოდ გადიდებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ უდიდესი ამოცანები დაგვისახა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დარგში. ხორცის წარმოების გადიდების პრობლემის გადაწყვეტისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარება. ამ დარგებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგისათვის. პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების მიზნით საჭიროა, კერძოდ, სერიოზული ყურადღება დავუთმოთ სანაშენო საქმის გაუმჯობესებას, გავადიდოთ ჯიშიანი პირუტყვის რიცხვი როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან ფართოდ გამოვიყენოთ მაღალპროდუქტიული სანაშენო ცხოველები ხელოვნური განაყოფიერებისათვის.

XXI ყრილობის მიერ მეცხოველეობის განვითარების დასახული პროგრამის წარმატებით შესრულების მთავარი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამ ამოცანის გადაწყვეტას აქედანვე, გაზაფხულიდანვე ეყრება საფუძველი. ამიტომ საჭიროა მიმდინარე წელს ყოველმხრივ გავადიდოთ ძვირფასი საკვები კულტურის — სიმინდის ნათესი ფართობები, უზრუნველვყოთ მისი მაღალი მოსავლის მიღება როგორც მარცვლად, ისე მწვანე მასად, რათა მიმდინარე წელს უზრუნველვყოთ რესპუბლიკაში სულ ცოტა 2.000.000 ტონა სილოსის ჩადება.

იმედია ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება, სამშობლოს მისცენ მეცხოველეობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტები.

მართლაც, ამ მიზნის მისაღწევად ღირს ვიშრომოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# საქართველოს სს რესპუბლიკაში სასარგებლო სანადირო ფაუნის დაცვის ღონისძიებათა გაძლიერებისა და გამრავლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში სასარგებლო ფაუნის დაცვის, გაძლიერებისა და გამრავლების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ მთავრობის მიერ წინათ მიღებულ დადგენილებათა განხორციელების შედეგად გარკვეული წარმატებებია მიღწეული სანადირო ფაუნის დაცვისა და გამრავლების საქმეში და ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სანადირო მეურნეობის მთავარი სამმართველო და მისი ადგილობრივი ორგანოები, საქართველოს მონადირეთა კავშირის „მონკავშირის" გამგეობა, მონადირეთა რაიონული საზოგადოებები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ საკმაო ბრძოლას ვერ აწარმოებენ ბრაკონიერობის წინააღმდეგ და ნადირობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

წესრიგი არ არის დამყარებული სანადირო თოფებისა და სასროლი მასალის ვაჭრობაში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბრაკონიერობის გავრცელებას. არ არის დაცული სანადირო თოფების რეგისტრაციის დადგენილი წესი. ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სანადირო ფაუნას სოფლის მეურნეობისათვის.

„საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესაბამისად და რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასარგებლო ფაუნის გამრავლებისა და დაცვის ღონისძიებათა გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნული დადგენილებით აკრძალა 1959 წლის 1 მარტიდან 1962 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის ყველგან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყოველგვარი ნადირობა გარეულ ფრინველსა და ნადირზე, გარდა მავნე მტაცებელი ფრინველისა და ნადირისა, მიმომფრენი ფრინველისა და კვერნისა. მავნე მტაცებლებს მათი არსებული სიის დამატებით მიეკუთვნება აგრეთვე ენოტისებრი ძაღლი, დათვი, მაჩვი და ქრცვინი.

მიმომფრენი ფრინველის ნადირობის წესსა და ვადებს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სანადირო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

სანადირო თოფისა და სასროლი მასალის მთელი ვაჭრობა მისი გაუმჯობესების მიზნით იწარმოებს საქართველოს მონადირეთა კავშირში „მონკავშირში" და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მონადირეთა სრულიად საარმიო საზოგადოებაში, ამასთანავე ცეკავშირის სისტემის „ტყავნედლეულდამზადებას" დარჩება უფლება მიჰყიდოს სანადირო თოფი და სასროლი მასალა მონადირეებს, რომელთაც დადებული აქვთ ხელშეკრულება ბეწვეულის მიწოდებაზე.

სანადირო თოფების რეგისტრაციის საქმის მოსაწესრიგებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ჩამოართვან მოქალაქეებს მილიციის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით 1959 წლის მაისის დამლევამდე სანადირო თოფები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არ იქნება. ჩამორთმეული თოფები სარეალიზაციოდ გადაეცემა „მონკავშირის" მაღაზიებს, ხოლო აღებული თანხა, საკომისიო გამოსაღების გამოკლებით გადაეცემათ თოფების მფლობელთ. იმ პირთ, რომელნიც ბოროტად არიდებენ თავს სანადირო თოფების რეგისტრაციას, თოფს ჩამოართმევენ მილიციის ორგანოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სანადირო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს მონადირეთა კავშირის „მონკავშირის" და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მონადირეთა სრულიად საარმიო საზოგადოებას:

გააძლიერონ ბრძოლა ბრაკონიერთა წინააღმდეგ, გააძლიერონ სატყეო მეურნეობების დირექტორების, ტყის დაცვის მუშაკებისა და სახელმწიფო მონადირეობის ინსპექტორების პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის; დადგენილი წესით დასაჯონ ნადირობის წესების ყველა დამრღვევი;

ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში; შექმნან სპეციალური ბრიგადები მონადირეთა აქტივიდან და სისტემატურად მოაწყონ სანადირო სავარგულების შემოვლა, არ დაუშვან ნადირობის ვადებისა და წესების დარღვევა;

სისტემატურად მოისმინონ სატყეო მეურნეობების დირექტორებისა და მონადირეთა რაიონული საზოგადოებების თავმჯდომარეთა ანგარიშები იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ისინი სასარგებლო სანადირო ფაუნის გასამრავლებლად, მის მოსავლელად და ბრაკონიერობის აღმოსაფხვრელად.

გააცხოველონ მონკავშირის გამგეობასა და მის ადგილობრივ ორგანოებთან არსებული ამხანაგური სასამართლოების მუშაობა და უზრუნველყონ ნადირობის წესების დამრღვევთა მკაცრ პასუხისგებაში მიცემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ სასარგებლო სანადირო ფაუნის მოვლისა და გამრავლების ღონისძიებათა, ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხი და უზრუნველყონ დასახულ ღონისძიებათა შესრულება.

# წერილები რედაქციას

## ხოვლელების საწუხარი

ხოვლე ყველაზე დიდი სოფელია კასპის რაიონში. იგი ბუნებას კარგი ჰაერითა და მინერალური წყლით დაუჯილდოებია. ამიტომაც არის, რომ ხოვლეს მრავალი სტუმარი ეტანება. ეტანება, მაგრამ... გულნაკლული ბრუნდება. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფელი კეთილმოწყობილი არ არის. აი ზოგიერთი მაგალითი.

როცა სოფელს თრიალეთის მთის სამხრეთი ფერდობიდან გადახედავთ, დაინახავთ ხოვლეს ბევრ მცხოვრებთა გადახრუკულ ეზოებს, რაც სოფელში წყლის ნაკლებობის მაუწყებელია. თუ სოფელში გაივლით, ნახავთ ნაქირავებ ბინებში მოთავსებულ ბევრ დაწესებულებას, რომლებიც უხეიროდ მიმოფანტულან ამოდენა სოფელში და მზრუნველის ხელს ელოდებიან.

დაინტერესდებით ბიბლიოთეკით, მასაც აგრეთვე ნაქირავები ბინა უკავია. სოფელში თვეში ერთხელ აჩვენებენ კინოფილმს და ისიც სარდაფში.

როგორც ცნობილია, დიდი ქართველი ისტორიკოსი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხოვლეში დაიბადა. ხოვლელმა გლეხებმა კარგად იციან, რომ მათი მკვიდრი დაფასების ღირსია და გულნაკლული არიან, რომ მის სახლს ყურადღება არ ექცევა. ჯავახიშვილის სახელი სოფელში მხოლოდ საშუალო სკოლის კარებს აწერია. ნუთუ გაჭირდა ამ დიდი მეცნიერის ძეგლის დადგმა? თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მემორიალური დაფა მაინც გაუკეთონ მისი სახლის კარს.

ხოვლეში 1937 წელს ყურადღება მიაქციეს მინერალურ წყალს და სამკურნალო აბანოს მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ ვერ დაამთავრეს. 1949 წელს მშენებლობა ისევ განაახლეს და დღეს აბანოს ერთი ნაწილი მომსახურებას უწევს ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს. მაგრამ თუ შიგ ეზოში შეხვედით, გულნაკლული დარჩებით. საავადმყოფოს მომსახურე პერსონალს არ უფიქრია ეზოს გამწვანებაზე, ხოლო იმ ხეხილსაც, ვიღაცას მადლიან ხელს რომ ჩაუყრია, პირუტყვი აფუჭებს.

ეს არის ხოვლელების საწუხარი.

**ნორა ელიშერაშვილი.**

## სახელი და გვარი მცენარეებსაც აქვს

ამას წინათ რუსთაველის პროსპექტზე ასეთი სურათის მოწმე გავხდი: მოქალაქე, რომლის გარეგანი ნიშნები ამტკიცებდა, რომ იგი ტურისტი და ჩვენი დედაქალაქის სტუმარი იყო, გაფაციცებით ათვალიერებდა გაზონებში დარგულ მცენარეებს, ეტყობოდა წარწერას ეძებდა, და როცა დარწმუნდა „ეტიკეტის" არარსებობაში, იქვე მდგომ ახალგაზრდას ზრდილობიანად მიმართა:

— თქვენ, მეგობარო, აქაური ბრძანდებით?

— დიახ, აქაური, თბილისელი, — იყო თავაზიანი პასუხი.

— გეთაყვა! რას ეძახით ამ ხეს? — და იქვე სიმეტრიულად ტოტებგადაშლილ კოპწია ჰიმალაის კედარზე მიუთითა.

— ჰო!.. ეს... ეს ნაძვი უნდა იყოს.

— ეგებ ამ მცენარის სახელი იცოდეთ? — და მარადმწვანე, მუქი-მომწვანო, მოგრძო სქელი ფოთლებით შემკულ ჩინურ მუშმულაზე უჩვენა.

— მგონი ეს... მაგნოლიაა ან შქერი.

— მგონი! ან! უნდა იყოს! მე კი მინდოდა გამეგო ამ მცენარეთა ნამდვილი გვარი და სახელი, — გულდაწყვეტილად ჩაილაპარაკა სტუმარმა, ფანქარი და ბლოკნოტი ჯიბისაკენ წაიღო და წასასვლელად მოემზადა.

ცხადია, ველარ მოვითმინე, თბილისელ ახალგაზრდას ცოტა არ იყოს ვუსაყვედურე ჩვენი ქალაქის ფლორის ეგზომ საუკეთესო წარმომადგენელთა უცოდინარობა. დაინტერესებულმა ტურისტმა ჩაიწერა აღნიშნულ მცენარეთა არა მარტო რუსული, არამედ ლათინური სახელწოდებანი, მადლობა გადამიხადა და გზა განაგრძო.

ერთი მხრივ, ეს ამბავი არ არის გასაკვირველი, ვინაიდან ამ უკანასკნელ წლებში დედაქალაქის პარკებსა და ბაღებში, გაზონებსა და ქუჩებში, გზატკეცილების გაყოლებით დარგულ იქნა ჩვენი და უცხო ქვეყნების ფლორის, როგორც წიწვოვან, ისე ფოთლოვან, დეკორაციულ და ყვავილოვან მცენარეთა საუკეთესო ეგზემპლარები. ასე რომ ამჟამად დედაქალაქის პარკები და ბაღები წარმოადგენენ ბოტანიკურ ბაღს მინიატიურული მოცულობით. ამიტომ ფართო მოსახლეობისათვის, ტურისტებისათვის ნარგავებზე სპეციალური წარწერის გაუკეთებლად ძნელია მცენარეთა სახელისა და გვარის შესწავლა და გაგება.

ამ საქმის მოგვარება ქალაქის საბჭომ და მისმა გამწვანების ტრესტმა უნდა ითავონ. უკვე დროა ქალაქში არსებულ ძირითად წამყვან ნარგავებს მაინც გაუკეთდეს სათანადო წარწერები ლათინურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

**დ. ფაილოძე.**

## კურორტი ახტალა მთელ წელიწადს იმუშავებს

**ბურჯაანი.** კურორტ ახტალის ტალახის აბაზანები საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა. აქ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ათასობით მშრომელი ჩამოდის. წელს მათი უკეთ მომსახურების მიზნით აშენდა კეთილმოწყობილი მექანიზებული სამკურნალო, რომელიც საათში 40 კაცს გაატარებს. ახლა კურორტი ახტალა მთელ წელიწადს განუწყვეტლივ იმუშავებს. აქ ყოველწლიურად რამდენიმე ათასი კაცი იმკურნალებს.

**ხ. ქორიძე.**

მეცნიერები და სპეციალისტები რჩევას იძლევიან

# ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

> დეტალური განხილვისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ჩვენ, რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, მტკიცედ დავრწმუნდით, რომ ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩვენ გვაქვს წარმოების გამოუყენებელი რეზერვები, რომ ერთსულოვანი მუშაობით და საყოველთაო მონდომებით ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლის აღების 1959 წლისა და შვიდწლედისათვის გათვალისწინებული გეგმები.
>
> (მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივების საკითხებზე რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვიდან).

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული პერსპექტივებით აღფრთოვანებული სოფლის მეურნეობის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თავდადებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

განიხილეს რა თავიანთი შესაძლებლობანი და გამოავლინეს წარმოების რეზერვები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები კისრულობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ახალ გადიდებულ ვალდებულებებს. სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივების საკითხებზე რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა. თათბირის მონაწილეებმა მოუწოდეს სუბტროპიკული რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებს მოკრიფონ 1959 წელს 140.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმით გათვალისწინებულზე 7.000 ტონით მეტი, ხოლო 1965 წელს მისცენ სამშობლოს 200.000 ტონა ფოთოლი და ამით უზრუნველყონ ჩვენი ქვეყანა სამამულო წარმოების ჩაით. ვალდებულებანი ითვალისწინებენ მოკრეფილ იქნას წელს 560 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ხოლო 1965 წელს — მილიარდი ცალი.

ეს ვალდებულებანი, როგორც სავსებით სამართლიანად არის ნათქვამი რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვაში, რეალურია, მათი შესრულება უთუოდ შესაძლებელია.

მეცნიერების მიღწევათა დანერგვისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენების საფუძველზე ჩვენ უნდა ავამოქმედოთ წარმოების დიდი რეზერვები, რომლებიც გვაქვს ყველა რაიონში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, უნარიანად გამოვიყენოთ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც იყენებენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს, მეურნეობანი დიდ ფართობებზე კრეფენ 5-6 ათას კილოგრამზე მეტ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ჰექტარზე და 500-600 ცალ მანდარინს ხეზე.

1959 წლისა და შვიდწლედისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის შემდგომი მძლავრი განვითარების არსებულ შესაძლებლობათა ყოველი ღონისძიებით გამოყენების მიზნით, ჩვენ, სპეციალისტები და სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკები, გირჩევთ სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებანი:

### ჩ ა ი

ჩაის პლანტაციების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის საზამთრო-საგაზაფხულო დამუშავებას მწკრივთაშორისში. ეს მუშაობა უნდა განახორციელოთ ყველა პლანტაციაში, გარდა იმ პლანტაციებისა, სადაც ნიადაგი ფხვიერია და არ არის დანაგვიანებული მრავალწლიანი სარეველებით, ხოლო ბუჩქების კრონები კარგად არის შეკრული მწკრივთაშორისში. ნიადაგის დამუშავება მწკრივთაშორისში უნდა დავამთავროთ არა უგვიანეს 1 აპრილისა. საზამთრო-საგაზაფხულო დამუშავების დროს ნიადაგში უნდა შევიტანოთ ორგანული, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები.

ფოთლის უხვი მოსავლის მიღება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩაის ბუჩქების დროულ და სწორ გასხვლაზე. ამიტომ მეჩაიეებმა ზუსტად უნდა დაიცვან გასხვლის დადგენილი წესები და ვადები. პლანტაციებში, სადაც ბუჩქები გადაიზარდნენ, სადაც გაძლიერდა მათი დამუხლება და შესამჩნევად შემცირდა მოსავლიანობა, გირჩევთ განახორციელოთ ნახევრადმძიმე და, საჭირო შემთხვევაში, მძიმე გასხვლა.

აზოტოვანი სასუქები მოსავლიანობის გადიდების ძირითადი ფაქტორია, მაგრამ მათი შეტანის ვადების გაჭიანურება არ იძლევა სრულ ეფექტს. აზოტოვანი სასუქების პირველი დოზა უნდა შევიტანოთ 1 აპრილამდე, მეორე დოზა კი — ივლისში.

ზოგიერთ მეურნეობაში აზოტოვანი სასუქების აგვისტოსა და სექტემბერში შეტანის პრაქტიკა მიგვაჩნია უსარგებლო საქმედ, შრომისა და სასუქების დაკარგვად.

საჭიროა გააძლიეროთ ბრძოლა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ, რისთვისაც ვეგეტაციის დაწყებამდე ფარიანებითა და ცრუფარიანებით დაავადებულ ყველა პლანტაციაში უნდა განახორციელოთ ფუმიგაცია ციანნადნობით, ხოლო ჩრჩილით დაავადებულ ჩაის პლანტაციაში გასხლათ ბუჩქები და მოაშოროთ ერთი წლის ნაზარდი ყლორტები.

ნიადაგის წყლისა და ჰაერის ნორმალური რეჟიმის შექმნისათვის საჭიროა სადრენაჟო ქსელი პლანტაციებში გაწმენდილი იყოს სარეველებისა და ლექისაგან. ჭარბტენიან ნიადაგებზე უნდა გაიყვანოთ დამატებითი სადრენაჟო თხრილები. ამ ღონისძიების განუხორციელებლობა ამცირებს აზოტოვანი სასუქების ეფექტიანობას.

მოსავლიანობის შემდგომი გადიდება დიდად არის დამოკიდებული პლანტაციების სიმეჩხრის სრულ ლიკვიდაციაზე. ამისათვის საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია გამეჩხერებულ ადგილებში დაირგოს შეხავსებული ნერგები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მოაწყონ სანერგეები ასეთი ნერგების გამოსაყვანად.

ნიადაგში ტენიანობის შენარჩუნებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ზაფხულის პერიოდში ოთხჯერ მაინც უნდა განხორციელდეს კულტივაცია და თოხნა. პლანტაციები უნდა იყოს სარეველებისაგან სუფთა, ნიადაგი ფხვიერი. ახალგაზრდა, ერთ-ორწლიან პლანტაციებში კულტივაციისა და თოხნის წინ უნდა მოხდეს ხელით მარგვლა-გამოხელვა.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჩაის პლანტაციების მორწყვა გვალვიან რაიონებში მკვეთრად ზრდის მოსავლიანობას. ამიტომ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ კოლმეურნეობათა წყლის რესურსები — მდინარეები, ღელეები და მოვაწყოთ პლანტაციების მორწყვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩაის პლანტაციებში შესრულებული მთელი მუშაობა ვერ მოიტანს სასურველ შედეგებს, თუ არ უზრუნველვყავით ჩაის ფოთლის განუწყვეტელი, დროული და სწორი კრეფა.

შემოუსვლელი, აგრეთვე გადაბერებული ყლორტების კრეფა ამცირებს მოსავლიანობას და აუარესებს ნედლეულის ხარისხს.

მაისში, ფოთლის მასობრივი შემოსვლის დროს, ზოგიერთი მეურნეობა ურიგდებოდა მოსავლის დიდ დანაკარგებს არასწორი კრეფის გამო, რაც უარყოფითად მოქმედებდა შემდგომ ვეგეტაციაზე. ამის შედეგად ეს მეურნეობანი ვერ ასრულებდნენ წლიურ გეგმას. ეს შეუწყნარებელია. საჭიროა სეზონის დაწყებისთანავე კარგად მოაწყოთ მეჩაიეთა შრომა და უზრუნველყოთ ფოთლის სწორი კრეფა.

ახალგაზრდა და სუსტ პლანტაციებში, აგრეთვე პლანტაციებში, სადაც ჩატარებულია ბუჩქების ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლა, ფოთლის კრეფა უნდა დაიწყოს მას შემდეგ, როცა მცენარე მიაღწევს 45-50 სანტიმეტრ სიმაღლეს.

ფოთლის გაფუჭებისაგან დასაცავად საჭიროა კრეფა 5-6 კილოგრამი ტევადობის სპეციალურ კალათებში. არ უნდა დაუშვათ კრეფა მატერიის ტარაში, რომელიც ძლიერ აუარესებს ნედლეულს. პლანტაციებიდან ჩაის ფაბრიკების დამამზადებელ პუნქტებში ფოთოლი გადატანილ უნდა იქნას სტანდარტული ყუთებით, არა უგვიანეს ორი საათისა მოკრეფის შემდეგ.

ფოთლის დროზე მოკრეფა დამოკიდებულია კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის მთლიანად გამოყენებაზე, მუშების სწორად განაწილებაზე პლანტაციებში, შრომის ისეთი რაციონალური ხერხების გამოყენებაზე, როგორიც არის: ფოთლის კრეფა ორივე ხელით, კალათის ჩამოკიდება, ფოთლის მიღება მკრეფავისაგან მუშაობის ადგილზე და სხვ.

პლანტაციების გულდასმით მოვლა, მოსავლის კრეფის სწორი ორგანიზაცია, მეჩაიეთა მატერიალური დაინტერესება ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გარანტიაა.

### ციტრუსები

ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის მიღება ძირითადად დამოკიდებულია ნარგავების სწორად კვებაზე. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანული და მინერალური სასუქები, რომელთაგან წამყვანია ორგანული სასუქები. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ნაკელი, ტორფ-ფოსფატის კომპოსტი და მცენარეული გადამწვარი ნარჩენები.

ბაღის ფართობის მთლიანი დაბარვა ორგანული, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანით უნდა მთავრდებოდეს არა უგვიანეს 25 მარტისა.

დაბარვის შემდეგ უნდა შეიტანოთ აზოტის დოზის 60 პროცენტი, ხოლო დანარჩენი ნაწილი — ყვავილობის დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 15 ივნისისა.

ფართოდ უნდა აწარმოოთ მჟავე რეაქციის ნიადაგის გაკირიანება დეფეკაციური ტალახის, მერგელის ან კირის შეტანის გზით.

აგვისტოს მეორე ნახევარში ციტრუსოვანთა ნარგავების მწკრივთაშორისში უნდა დაითესოს სიდერატები — ხანჭკოლა, ცერცველა-შვრიის ნარევი და სხვა, რომლებიც ნიადაგში უნდა ჩაიბაროს გაზაფხულზე.

ხეებზე დიდძალი ნასკვის შენარჩუნებისათვის საუკეთესო ხერხია ნიადაგის დამულჩვა ან მორწყვა. დამულჩვა უნდა აწარმოოთ გვალვიანი პერიოდის დაწყებამდე ტორფით, კოფეინის წარმოების ნარჩენებით და სხვა მცენარეული მასალით.

დიდ ზიანს აყენებენ ციტრუსებს სოფლის მეურნეობის მავნებლები და დაავადებანი. ისინი ჩაგრავენ ხეებს, აუარესებენ ნაყოფის ხარისხს. ამიტომ ფარიანებით და ცრუფარიანებით დაავადებულ ხეებს გაზაფხულზე უნდა შეასხუროთ მინერალური ზეთის ემულსია, ხოლო სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ხეებს ორჯერ უნდა შეასხუროთ ბორდოს სითხე, პირველად გაზაფხულზე, მეორედ — აგვისტოში. ზაფხულის პერიოდში ვერცხლისფერი და წითელი ტკიპის წინააღმდეგ ხეებს უნდა შეასხუროთ გოგირდ-კირის ნახარში ორჯერ, იაპონური ჩხირისებრი ფარიანის და იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანის ლიკვიდაცია ხდება ციანგაზის ფუმიგაციით.

15 აგვისტომდე სისტემატურად უნდა აწარმოოთ ნიადაგის გათოხნა და კულტივაცია მწკრივთაშორისში, ბაღები სარეველასაგან გაწმენდილი, ხოლო ნიადაგი ფხვიერი უნდა იყოს.

ყინვისაგან დაცვის ღონისძიებანი უზრუნველყოფენ არა მარტო ნარგავთა უვნებლობას, არამედ აგრეთვე ხელს უწყობენ მოსავლიანობის გადიდებას. ამისათვის უნდა განახორციელოთ: ყველა ასაკის ლიმონისა, ათ წლამდე ხნოვანების ფორთოხლისა და ახალგაზრდა მანდარინის ხეებისათვის მიწის შემოყრა 30-35 სანტიმეტრ სიმაღლეზე. მიწის შემოყრის წინ საჭიროა შტამბების დეზინფექცია შაბიამნის სამპროცენტიანი ხსნარით.

ლიმონის შესაფუთავად საუკეთესო მასალაა სამფენა დოლბანდი, ამასთან შეკრულ ნარგავებში უნდა გამოიყენოთ ჯგუფური შეფუთვა სამფენა დოლბანდით. შეფუთვისას კრონასა და დოლბანდს შუა უნდა დატოვოთ 10 სანტიმეტრი მანძილი, ჯგუფური შეფუთვის დროს მოაწყოთ მუდმივი კარკასები.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენების, ამასთან ლიმონის ნარგავების დოლბანდით შეფუთვის შედეგად ეშერის სასწავლო მეურნეობამ მიიღო ერთ ძირ ხეზე საშუალოდ 695 ცალი მანდარინი, 414 ცალი ლიმონი და 500 ცალი ფორთოხალი. თერთმეტი ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავების პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 1958 წელს შეადგინა 2 მილიონ 123 ათასი მანეთი.

საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში უნდა დანერგოთ ლიმონების განრთხმული ფორმა ახალგაზრდა ნარგავების და ყინვით დაზიანებული ნარგავების ამ ფორმაზე გადაყვანის გზით.

ხარისხოვანი ნაყოფის მიღების მიზნით ნაყოფის კრეფა უნდა აწარმოოთ შერჩევით, დამწიფების მიხედვით.

ვგმობთ ზოგიერთი კოლმეურნეობის მავნე პრაქტიკას, რომლებიც ციტრუსოვანთა ნარგავების რიგთაშორისებს იყენებენ თამბაქოსა და სიმინდის დასათესად. ეს აუარესებს ნიადაგის წყლის რეჟიმს და ციტრუსოვანი ხეების კვების პირობებს, ხელს უწყობს ფერდობებზე ნიადაგის ჩამორეცხვის გაძლიერებას, ანგრევს ტერასებს.

ციტრუსოვანთა პლანტაციების შემდგომი გაფართოება დამოკიდებულია კარგად ორგანიზებულ სანერგე მეურნეობაზე. საჭიროა დაწესებულ ვადებში განახორციელოთ ტრიფოლიატის თესვა და დარგვა, მაქსიმალურად გამოიყენოთ წინა წლების საძირეები, დააჩქაროთ მიმდინარე წლის საძირეების ზრდა. სტანდარტული ნერგების ერთ წელიწადში მიღებისათვის უნდა განახორციელოთ პინცირება და გააძლიეროთ მათი დამატებითი კვება წუნწუხისა და აზოტიანი სასუქის გამოყენებით.

მთელი სარგავი სტანდარტული მასალა უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიყენოთ ციტრუსოვანთა გამეჩხერებული პლანტაციების შესავსებად. გამეჩხერებულ ადგილებში წინასწარ უნდა მოამზადოთ ერთი მეტრი სიგანისა და 50 სანტიმეტრი სიღრმის ორმოები. დარგვის დროს ორმოებში უნდა შეიტანოთ 15-16 კილოგრამი გადამწვარი ნაკელი.

ჩაის პლანტაციების და ციტრუსოვანთა ნარგავების ადგილობრივი ორგანული სასუქებით უზრუნველსაყოფად ყველა მეცხოველეობის ფერმასთან მოაწყეთ ნაკელსაცავები საწუნწუხეებით, აგრეთვე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყეთ ტორფ-ნაკელის კომპოსტის გროვები და შეაგროვეთ მეურნეობის ყველა ნარჩენი შემდგომი მათი დაკომპოსტებით.

მიმდინარე წლის კლიმატურმა პირობებმა დააყოვნეს ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლის სამუშაოები. ეს სუბტროპიკული მეურნეობის ყველა მუშაკს ავალებს მოკლე ვადებში განახორციელონ ნიადაგის დაბარვა, სასუქების შეტანა, ჩაის ბუჩქების გასხვლა, მოსავლის აღებისათვის მომზადება და სხვა სახის სამუშაოები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში თუნდაც ერთი რგოლის გამოტოვება შეამცირებს მოსავლიანობას.

მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის შემდგომი განვითარების სერიოზულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნის ყოველ ჩვენგანს, წარმოების სპეციალისტებსა და მეცნიერების მუშაკებს. ჩვენ უნდა გავხდეთ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში მოწინავე აგროტექნიკის, მეცნიერების მიღწევების დანერგვის ნამდვილი ორგანიზატორები. ჩვენი მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი სოფლის მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, რომლის მიზანია ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღება.

იმედი გვაქვს, რომ სუბტროპიკული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყოველი ღონისძიებით დაუჭერენ მხარს ჩვენს იმ მისწრაფებებს, რომ წარმოებაში დაინერგოს აგროტექნიკის პროგრესული ხერხები, შექმნიან პირობებს რეკომენდებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის მძლავრ აღმავლობას.

**დოლაბერიძე მ.** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, **ბახტაძე ქ.** — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი, **სარიშვილი ი.** — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი, **დარასელია მ.** — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, **ნადარაია გ.** — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, **ბამურელიძე ი.** — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, **ჯალაღონია შ.** — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, „ეშერის" სასწავლო საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ცქიტიშვილი დ.** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სუბტროპიკულ კულტურათა სამმართველოს მთავარი აგრონომი, **ღლონტი მ.** — აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, **მარხულია ა.** — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, **მჟავია დ.** — მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარი აგრონომი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი მხრიდან

სკკპ XXI ყრილობამ გვიჩვენა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მზარდი ერთიანობა

ბერლინის საკითხი მოლაპარაკების გზით უნდა მოწესრიგდეს

მეამბოხეთა მეთაური მოკლულია ერაყში სრული სიმშვიდეა

## კომუნისტების წარმატება საფრანგეთში

**პარიზი,** 9 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის მუნიციპალური არჩევნების გუშინ გამართული პირველი ტურის შედეგების შესახებ წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ ფრანგმა კომუნისტებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ზოგიერთ ქალაქში.

პარიზის მუნიციპალურ საბჭოში საფრანგეთის კომპარტიამ მიიღო 29 ადგილი (ყველა ადგილის 30 პროცენტი). მმართველმა პარტიამ „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირმა" მიიღო 23 ადგილი, დამოუკიდებლებმა — 19. როგორც ფრანს პრესის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, კომუნისტები აგროვებენ გაცილებით მეტ ხმას, ვიდრე უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებში ექვსი წლის წინათ.

წინასწარი ცნობებით საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას პარიზში ხმა მისცა 327.458 ამომრჩეველმა 306.700 ამომრჩეველთან შედარებით, რომლებმაც კომუნისტებს ხმა მისცეს პარლამენტის არჩევნებში 1958 წელს. ამავე დროს „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირისათვის" მიცემული ხმების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა — 300 ათასიდან 235 ათასამდე.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, საფრანგეთის 12 დიდ ქალაქში მუნიციპალური არჩევნების პირველი ტურის შედეგების ანალიზი თითქმის ასეთსავე სურათს იძლევა. ამ 12 ქალაქში პირველ ადგილზეა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც მიიღო 131 ადგილი და შეაგროვა მთელი მიცემული ხმების 25 პროცენტი. პარტია „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირმა" მიიღო 118 ადგილი, დამოუკიდებლებმა — 56 ადგილი, სოციალისტებმა — 77 ადგილი.

ქალაქ სტრასბურგში კომპარტიამ ერთი ადგილით მეტი მიიღო, ვიდრე წინა მუნიციპალურ არჩევნებში, და მოაგროვა 2,5 ათასი ხმით მეტი, ვიდრე პარლამენტის არჩევნებში 1958 წლის ნოემბერში, მაშინ როცა პარტია „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირმა" დაკარგა 20 ათასზე მეტი ხმა.

ლიონში კომუნისტებმა მოაგროვეს დაახლოებით 6.500 ხმით მეტი, ვიდრე 1958 წლის არჩევნებში, მაშინ როცა პარტია „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირმა" დაკარგა 22,5 ათასი ხმა.

## ინგლისის გაზეთი ამერიკა - ირანის სამხედრო შეთანხმების გამო ირანის საზოგადოებრიობის უკმაყოფილების შესახებ

**ლონდონი,** 9 მარტი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა სარედაქციო სტატიაში ამერიკა-ირანის სამხედრო შეთანხმებას, გაზეთი „ტაიმსი" დღეს წერს, რომ „ამერიკის მთავრობას როგორც ჩანს აქვს მიზეზები არ იყოს მთლიანად კმაყოფილი მოვლენების განვითარებით". გაზეთის სიტყვით, „ირანში ამერიკის მთავრობის მისამართით უკვე გაისმის ბევრი საყვედური... ირანის მნიშვნელოვნად გადიდებული არმიის შენახვა ძვირად ჯდება და იწვევს ბიუჯეტის დიდ დაძაბვას, მაგრამ ამერიკის დახმარება არ არის განკუთვნილი საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად". ირანის საზოგადოებრიობის კრიტიკას იწვევს აგრეთვე ის, რომ ირანში არის ბევრი ამერიკელი მრჩეველი, რომლებიც დიდ ხელფასს იღებენ.

## მიიამოტოს განცხადება

**ტოკიო,** 9 მარტი. (საკდესი). დღეს ტოკიოში დაბრუნდა იაპონიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიიამოტოს მეთაურობით, რომელიც ესწრებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ნოსაკა, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ხაკამადა, ტოკიოს კომუნისტთა და დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დელეგაციის მეთაურმა მიიამოტომ აეროდრომზე გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა მეგობრული დამოკიდებულება, რასაც დელეგაციის წევრები, როგორც იაპონელი ხალხის წარმომადგენლები, ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მხრივ, სადაც მათ მოუხდათ ყოფნა.

ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახებ, მიიამოტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ყრილობას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ, თქვა მან, ცხადყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მონოლითური ერთიანობა, გვიჩვენა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მზარდი ერთიანობა. მიიამოტომ აღნიშნა, რომ ყრილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევიზიონიზმის წინააღმდეგ, კომუნისტური მოძრაობის სიწმინდისათვის ბრძოლის საქმეში.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დაწვრილებით გაუზიარა შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ, რომლებშიც იმოგზაურა იაპონიის კომპარტიის დელეგაციამ, და აღნიშნა ამ ქვეყნების ხალხთა უდიდესი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

## სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირზე

**ჟენევა,** 9 მარტი. (საკდესი). დღეს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ თათბირის მორიგ სხდომაზე გრძელდებოდა წინათ შეტანილი დოკუმენტების განხილვა. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ თათბირის განსახილველად შეიტანა საკონტროლო სისტემის საქმიანობის პერიოდული განხილვის შესახებ ხელშეკრულების მუხლის პროექტი.

ჟურნალისტთა წრეებში გამოთქვამენ გაკვირვებას იმის გამო, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციები უკვე დიდი ხანია არ აკეთებენ რაიმე კონკრეტულ წინადადებას ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ვადა, და მხოლოდ დრო და დრო შეაქვთ ხელშეკრულების მეორეხარისხოვანი მუხლების პროექტები. ამან თავისი გამოხატულება პოვა განსაკუთრებით დღევანდელი სხდომის შემდეგ, რამდენადაც ინგლისის დელეგაციის თხოვნით 6 მარტისათვის დანიშნული სხდომა გადაიდო და მოელოდნენ, რომ თათბირი რამდენადმე წინ წავიდოდა თავის მუშაობაში.

## ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება პარიზში

### ჰ. მაკმილანის განცხადება

**პარიზი,** 9 მარტი. (საკდესი). დღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი პარიზს ჩამოვიდნენ საფრანგეთის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად.

ბურჟეს აეროდრომზე ჰ. მაკმილანმა გააკეთა განცხადება, რომელშიც კერძოდ, აღნიშნა, რომ იგი საფრანგეთის დედაქალაქში ჩამოვიდა, რათა პირადად გააცნოს საფრანგეთის ხელმძღვანელებს ინგლის-საბჭოთა კავშირის ამასწინანდელი შეხვედრები. „ეს ვიზიტი — თქვა მაკმილანმა, — პირველია იმ კონსულტაციების სერიიდან, რომლებსაც მოვაწყობთ ჩვენს მოკავშირეებთან. ჩვენ ამ კონსულტაციებს მივმართავთ იმის გამო, რაც შევიტყვეთ რუსეთში ჩვენი მოგზაურობის დროს, რომელსაც მე დაზვერვითი ვუწოდე... ჩემი აზრით, ჩვენი ვიზიტი მოსკოვში, აგრეთვე მოლაპარაკება, რომელიც გვექნება პარიზში, შემდეგ ბონში, ოტავასა და ვაშინგტონში, წარმოადგენს უფრო ფართო საერთაშორისო მოლაპარაკების ძირითადი მომზადების შემადგენელ ნაწილს, რომელიც ამას უნდა მოჰყვეს..."

ჩემს ვიზიტს საბჭოთა კავშირში, განაგრძო ინგლისის პრემიერ-მინისტრმა, პირადად ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საშუალება მომცა უფრო ფართოდ გავცნობოდი საბჭოთა მთავრობის პოზიციას, იმას მაინც მივაღწიეთ, რომ შევთანხმდით ძირითად პუნქტზე: რუსები დაეთანხმნენ იმას, რომ ისეთი გადაუდებელი საკითხები, როგორიც არის ბერლინის, გერმანიისა და სხვა საკითხები, მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით. რა თქმა უნდა, ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ იმისაგან, რასაც შეიძლება ეწოდოს შეთანხმება, გარდა იმისა, რომ შევთანხმდით მოლაპარაკების აუცილებლობის შესახებ... ბევრ დიდმნიშვნელოვან პრობლემაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი უთანხმოებანი. ამავე დროს დავრწმუნდი, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ მაკმილანმა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები მზად არიან აწარმოონ მოლაპარაკება და დისკუსია.

საუზმის დროს, რომელიც მოეწყო საფრანგეთის მთავრობის რეზიდენციაში, მოლაპარაკების ფრანგ და ინგლისელ მონაწილეთა შორის მოხდა აზრთა საერთო გაზიარება, რომლის დროსაც, კერძოდ, შეეხნენ სსრ კავშირში მაკმილანის ამასწინანდელი ვიზიტის საკითხს. საუზმის შემდეგ ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა დაიწყეს პოლიტიკური მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე ორი ქვეყნის ექსპერტები.

* * *

**პარიზი,** 10 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა 9 მარტს პარიზში საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკების პირველი სტადიის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ მაკმილანისა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ მიშელ დებრეს მოლაპარაკების მსვლელობაში მაკმილანმა გააკეთა ინფორმაცია საბჭოთა კავშირში თავისი ამასწინანდელი მოგზაურობის შესახებ. საფრანგეთის მინისტრებმა, დასძინა ამ წარმომადგენელმა, გააკეთეს ანალოგიური ინფორმაცია დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერთან პრეზიდენტ დე გოლის ამასწინანდელი შეხვედრის შესახებ.

შემდეგ ინგლისის წარმომადგენელმა თქვა, რომ ამ ინფორმაციებს მოჰყვა ბერლინის, გერმანიის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ევროპის უშიშროების პრობლემების საკმაოდ დეტალური წინასწარი განხილვა. მოკლედ შეეხნენ 2 მარტის საბჭოთა ნოტებზე დასავლეთის პასუხთა პროექტებს. მაგრამ დეტალურად ეს საკითხი არ განუხილავთ.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერაყის დელეგაციის განცხადება

**პარიზი,** 10 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ნიუ-იორკიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერაყის რესპუბლიკის დელეგაციამ 9 მარტს გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების ჩაფუშვის შემდეგ „მდგომარეობა კვლავ ნორმალური გახდა, უშიშროება უზრუნველყოფილია და მთავრობა სავსებით უწევს კონტროლს მთელ ერაყს".

დელეგაცია აცხადებს, რომ ერაყის მთავრობამ გასცა ორდერი მეამბოხეთა მეთაურის შავაფის დასაპატიმრებლად, მაგრამ იგი 9 მარტს დილით მოკლეს მისმავე ჯარისკაცებმა. ეს ცნობა, ნათქვამია კომუნიკეში, დელეგაციამ მიიღო ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან.

„შეთქმულება ჩახშობილია და ხალხმა და არმიამ ჯარის ყველა ნაწილთან და ოფიცერთან ერთად ცხადყო მხარდაჭერა რესპუბლიკისა და პრემიერ-მინისტრ აბდელ ქერიმ კასემისადმი", — ნათქვამია კომუნიკეში.

## ბაღდადის რადიოს მიმართვა ერაყის ხალხისადმი

**ბაღდადი,** 10 მარტი. (საკდესი). დღეს ბაღდადის რადიომ გამოაქვეყნა ერაყის ხალხისადმი მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: ვუცხადებთ ჩვენს ძვირფას თანამემამულეებს, რომ დაწყებული 8 მარტიდან, უცხოეთის უცნობმა რადიოსადგურმა, რომელიც თავის თავს მოსულის რადიოსადგურს უწოდებს და მტრულად არის განწყობილი ერაყის რესპუბლიკისადმი, დაიწყო პროპაგანდისა და ყალბი ცნობების გავრცელება მოსულის რაიონში ამბოხების შესახებ. ამ იმპერიალისტური შეთქმულებისა და ყალბი პროპაგანდის კამპანიის ორგანიზატორია სამშობლოს მოღალატე გადამდგარი პოლკოვნიკი აბდელ ვაჰაბ აშ-შავაფი, რომელმაც სამარცხვინო აღსასრული პოვა ხალხისა და არმიის ხელით.

ჩვენ გიცხადებთ, რომ ყველაფერი, რასაც ხსენებული რადიოსადგურო იუწყება რაღაც შფოთისა და ამბოხების შესახებ, თავიდან ბოლომდე სიცრუეა, რადგან ამჟამად არც მოსულში, არც ერაყის რესპუბლიკის სხვა რომელიმე ადგილას არავითარი ამბოხება არ არის.

## მუსიკალური კვირეული



რ. ბუბულიდი (მარცხნივ) და კ. პაინი.



გ. ბარინოვა

**1.** მარტის პირველი კვირეული ჩვენი დედაქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში მომხდარი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენით დაიწყო. 28 თებერვალს რადიოთი, ხოლო 1 და 2 მარტს საჯაროდ საქართველოში პირველად შესრულდა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის დ. შოსტაკოვიჩის XI სიმფონია — „1905 წელი".

მსმენელებს, რომლებიც კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიურ კონცერტს დაესწრნენ, დიდ ხანს ემახსოვრებათ შოსტაკოვიჩის შესანიშნავი ნაწარმოებისაგან მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილება. დირიჟორი ა. სტასევიჩი და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთელი კოლექტივი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა ურთულესი მხატვრული ამოცანის გადაჭრას.

სიმფონია „1905 წელი" მონუმენტალური ჰეროიკული ეპოპეაა.

ნაწარმოებს პროგრამა არაჩვეულებრივი კონკრეტულობით არის გადმოცემული ციკლის ოთხივე ნაწილში: „სასახლის მოედანი", „9 იანვარი", „დაღუპულთა ხსოვნა" და „განგაში". (ნაწილები სრულდება შეუსვენებლივ).

სიმფონიის მუსიკალურ დრამატურგიაში ცენტრალურ ადგილს II ნაწილი — „9 იანვარი" იკავებს. თუ I ნაწილში მომავალი მრისხანე მოვლენების მოლოდინის განწყობილება სუფევს და კომპოზიტორი ნათლად შეგვაგრძნობინებს ხალხთა საპყრობილის ბორკილების დამსხვრევის ჯერ კიდევ შეუძლებლობას (გამოყენებულია პოლიტიკურ პატიმართა შორის წარსულში გავრცელებული სიმღერები „ისმინე" და „ტუსაღი"), II ნაწილში — სულ უფრო მძლავრად გაისმის ხალხის მასების აზვირთების ხმა. განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს მუშათა დახვრეტის ეპიზოდი II ნაწილში. სიმფონიის ორი უკანასკნელი ნაწილი: სამგლოვიარო მარში (III ნ.) და ფინალი მთელი ძალით გადმოგვცემენ ხალხთა მასების გამოღვიძებასა და რევოლუციურ ბრძოლაში მშრომელთა მილიონების ნებისყოფისა და გამარჯვებისადმი რწმენის წრთობას. დ. შოსტაკოვიჩის XI სიმფონიის ჭეშმარიტი დემოკრატიულობა ნათლად აღიბეჭდა არა მარტო ნაწარმოების იდეურ შთაფიქრში, არამედ თვით მუსიკალურ ენაშიც.

განსაკუთრებით განსაცვიფრებელია სიმფონიის ორკესტრობა.

შესანიშნავი ოსტატობით დაწერილი ეს ნაწარმოები, როგორც უკვე ვთქვით, მეტად რთული მხატვრული ამოცანების დაძლევას მოითხოვდა შემსრულებელთაგან. დირიჟორმა ა. სტასევიჩმა შეძლო წარმატებით გადაეჭრა მის წინაშე მდგომი სიძნელენი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა II ნაწილიდან დახვრეტის ეპიზოდის და III ნაწილის ხმოვანება.

საერთოდ მთელი ნაწარმოების მანძილზე დირიჟორი სასურველ ინტონაციურ სიწმინდესა და რიტმულ მკაფიობას აღწევდა.

* * *

**2.** მარტის პირველ რიცხვებში თბილისს საგასტროლოდ ეწვია გამოჩენილი მევიოლინე ქალი რსფსრ დამსახურებული არტისტი გალინა ბარინოვა. მისმა ორმა კონცერტმა (2 მარტს — კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ხოლო 4 მარტს — რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში) ერთხელ კიდევ ცხადყო მევიოლინე ქალის შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობა.

არტისტისათვის დამახასიათებელმა მიდრეკილებამ ცალკეული დეტალების ჰარმონიული მთლიანობის მიღწევისადმი აშკარად იჩინა თავი მის მიერ ბახის სავიოლინო კონცერტის შესრულებაში (2 მარტი — დირიჟორი ა. სტასევიჩი). განსაკუთრებული „ვოკალური" გამომსახველობა იგრძნობოდა როგორც აღნიშნული ნაწარმოების, ისე პოლიფონიური სტილის სხვა ნაწარმოებთა შესრულების დროსაც (ჰენდელის სონატა).

გ. ბარინოვას სოლო კონცერტის მრავალფეროვანი რეპერტუარიდან ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ს. პროკოფიევის № 2 სონატის შესრულებამ დატოვა.

დიდი შინაგანი განცდით გადმოსცა მევიოლინემ რუმინელი კომპოზიტორის პორუმბესკუს „ბალადა". მეტყველი ტემბრული საშუალებები იყო ნაპონი კომპოზიტორ მანელის კოლორიტული პიესისათვის „ინდაური თივაში". მრთალი შთაბეჭდილება დატოვა ე. იზაის სონატა — ბალადის შესრულებამ.

თავისი სოლო კონცერტის დასასრულს გ. ბარინოვამ დიდი წარმატებით შეასრულა ჩაიკოვსკის, ვენიავსკის, ხაჩატურიანის ნაწარმოებები.

ფაქიზი გემოვნებითა და ანსამბლის შესანიშნავი გრძნობით მიჰყავდა ფორტეპიანოს პარტია პიანისტ ი. კატაევს.

* * *

**3.** მენდელსონის № 3 სიმფონიის, შოპენის საფორტეპიანო კონცერტის (ფა-მინორი), სტრავინსკის „პატარა სუიტისა" და მ. დავითაშვილის საფორტეპიანო ფანტაზიისაგან შემდგარი პროგრამით თბილისელი მსმენელების წინაშე პირველად წარდგა უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი დირიჟორი კ. პაინი (7-8 მარტს, კონსერვატორიის დიდი დარბაზი). ნაწარმოების სტილში ღრმად ჩაწვდომა. შესრულების კეთილშობილური სისადავე და ფორმის მკაფიობის დიდი გრძნობა მეტად ნათლად გამომჟღავნდა მენდელსონის სიმფონიის შესრულების დროს.

7 თებერვალს გამართულ კონცერტზე საქართველოს ფილარმონიის სოლისტმა გ. ქავთარაძემ წარმატებით დაუკრა ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი ქალის მერი დავითაშვილის საფორტეპიანო ფანტაზია — ლირიკულ-ჰეროიკული პლანის ღრმად ემოციური და პიანისტური ტექნიკის მხრივ საკმაოდ რთული ნაწარმოები.

* * *

**4.** მარტის პირველ კვირეულში თბილისს საგასტროლოდ ეწვია ცნობილი ბერძენი პიანისტი ქალი — ჟენევის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი რიტა ბუბულიდი. პარიზის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, გამოჩენილი პროფესორების მარგარიტა ლონგის და ედვინ ფიშერის ნიჭიერმა მოწაფემ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში გამართა კონცერტები და ახლა საბჭოთა კავშირს ეწვია. თბილისში თავისი პირველი გამოსვლისათვის პიანისტმა შოპენის საფორტეპიანო კონცერტი (ფა-მინორი) აირჩია.

განწყობილების პოეტურობითა და ლირიკული ემოციის უშუალობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა II ნაწილის — ლირიკულ-ჰვრეტითი ლარგეტოს შესრულება. პიანისტმა კარგად გადმოსცა ამ ნაწილის მელოდიის ვოკალური გამომსახველობა. მკაფიოდ იქნა ხაზგასმული კონცერტის ფინალის ინტონაციური მასალის ჟანრული ხასიათი.

ბერძენი პიანისტი ქალის პირველ კონცერტს დამსწრე საზოგადოება მეტად გულთბილად შეხვდა.

9 მარტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა პიანისტის სოლო კონცერტი.

**მ. იაშვილი.**



ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების პრეზიდენტმა და წევრებმა საზეიმო დარბაზობა გამართეს სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც სტუმრად არის ინდოეთში. სურათზე: ბავშვები ყვავილებს უძღვნიან დელეგაციის წევრს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს მ. ი. კუჭავას.

ფოტო ა. სტუჟინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ბინაგიო და მისი მკვლელები

ბურჟუაზიული პრესა სენსაციებს ხშირად შეთითხნის ხოლმე. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ამის კლასიკური ნიმუშია ამერიკის შეერთებული შტატები. სენსაცია შტატებში იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ მან რამდენადმე კიდევაც დაკარგა სენსაციური ხასიათი.

კანზას-სიტიში ვისთვის არ იყო ცნობილი ამერიკული საგაზეთო ზნე-ჩვეულება? აქ ხომ მიჩვეული არიან ყველაზე ნაკლებად დაუჯერონ სწორედ სენსაციურ სტატიას, მაგრამ როცა ქალაქში გაჩნდა გაზეთების პირველი ნომრები, რომლებშიც გამოქვეყნებული იყო ცნობა ჩარლზ ბინაგიოს სიკვდილის შესახებ, გაზეთები ელვის სისწრაფით დაიტაცეს.

არა, საჭირო არ იყო ბინაგიოს მოკვლის ხელოვნურად გადაქცევა სენსაციად. მისი საეჭვო წარსული, სამორინოების პატრონისა და პროფესიული პოლიტიკანის მრავალმხრივი ბიზნესი, მისი აურაცხელი აფიორები და ინტრიგები — ყველაფერი ეს მომხდარ ამბავს ფართო ცნობისმოყვარეობის გაღვივების საგნად ხდიდა, ეფექტიან სენსაციად აქცევდა. თუმცა ბინაგიო ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკური საკითხების პრინციპულ ხასიათთან დაკავშირებით, რომლებთანაც მოკლულს ბევრი რამ ჰქონდა საერთო.

იმ ქვეყანაში, სადაც სერ ჩარლზი ცხოვრობდა, სადაც გაბატონებულია დოლარი და ბიზნესი ეწოდება ყოველი სახის საქმიანობას, რომელსაც შემოსავალი მოაქვს, არსებობს მოსახლეობის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა, რეკეტირების სახელწოდებით ცნობილი. რეკეტირები — ესენი არიან წარმომადგენლები სპეციფიკური ბიზნესისა, მისი ორიგინალური ჟანრისა. ესენი არიან პროფესიული აფერისტები, გამომძალველები, სუტენერები, ბანდიტები, სინდისით მოვაჭრენი და ა. შ. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებსაც ღამის წყვდიადი დღის სინათლეს ურჩევნიათ.

პოლიტიკური კამპანიების პერიოდები რეკეტირების მოღვაწეობის ყველაზე მეტი გამოცოცხლების დროა: მოთხოვნილება მათს პროფესიაზე იზრდება.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით დაწესებულია სამოცზე მეტი საარჩევნო ცენზი, რომელთა საფუძველზე გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის სისტემატურად ჩამოაშორებენ ხოლმე არჩევნებს ქვეყნის სრულასაკოვანი მოსახლეობის უდიდეს რაოდენობას.

ანტიდემოკრატიული ცენზების დახმარებით კაპიტალისტური მონოპოლიები ცდილობენ უვნებელყონ თავიანთი მდგომარეობა, უზრუნველყონ თავიანთთვის გამარჯვება საარჩევნო კამპანიებში. მაგრამ ეს ღონისძიებებიც კი არ აღმოჩნდება ხოლმე საკმარისი, ისინიც კი ვერ უზრუნველყოფენ შესაძლო უსიამოვნებათაგან, და იქ, სადაც თავდება „კანონიერი" ცენზების მოქმედება, იწყება ფარული ხრიკები და ფალსიფიკაცია: მოსყიდვა, ზეგავლენა, შანტაჟი, ტერორი, იქ ძალაში შედის რეკეტის „უფლებები".

ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ვრცელ ტერიტორიაზე გადაჭიმულია ბურჟუაზიის დიდი და პატარა, ოფიციალური და ფარული პოლიტიკური ორგანიზაციების უზარმაზარი ქსელი. მათი ამოცანაა უზრუნველყონ კაპიტალის სრული ძალაუფლება, ბურჟუაზიის პოლიტიკური დიქტატურა. მათი ძალაა მილიონერებისა და მილიარდერების ფინანსური დახმარება.

არ თაკილობენ რა არავითარ ბოროტმოქმედებას, მკვლელობასაც კი, მოქმედებენ რა მოსყიდვისა და დაშინების მეთოდებით, ისინი ტერორქვეშ აყენებენ მოსახლეობას, თავიანთ დიქტატს უმორჩილებენ ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას. გავიხსენოთ თუნდაც სკანდალური ისტორია ცნობილი ტამანიჰოლისა, დემოკრატიული პარტიის ნიუ-იორკის საარჩევნო ორგანიზაციისა, რომელმაც სახელი გაითქვა საშინელი მაქინაციებით. სავსებით გასაგებია მარკ ტვენის სარკაზმი ამ პოლიტიკური ჯურღმულის ერთ-ერთი თვალსაჩინო „მოღვაწის" სიკვდილის შესახებ: „მე უარი ვთქვი დავსწრებოდი ამ ადამიანის დაკრძალვას, მაგრამ დავწერე თავაზიანი წერილი, რომელშიც აღვნიშნე, რომ სულითა და გულით მივესალმები ამ ღონისძიებას".

კაპიტალის სესხება მხოლოდ „საიმედო" ადამიანებისათვის, ფულის მოთავსება მხოლოდ „ნაღდ" საქმეში მილიონერების ოქროს წესია და ამ ორგანიზაციების ბოსებად, პატრონებად შეარჩევენ ხოლმე მხოლოდ ყველაზე გაქნილ პოლიტიკანებს.

ყველაზე გამოჩენილი იყო თუ არა ტომ პენდერგასტი აფერისტთა ამ კასტიდან? ვინ იცის. მაგრამ, როგორც მის მსგავსთა უმრავლესობას, მას არ ეჭირა მაღალი ოფიციალური პოსტი, მისი სახელი მოხსენიებული არ იყო მსხვილ მრეწველთა ან ფინანსისტთა სიაში, მაგრამ მრავალი წლის მანძილზე მას მუდამ იხსენიებდნენ პოლიტიკური მოღვაწეები, ამ სახელს პატივისცემით წარმოთქვამდნენ სენატორები, კონგრესმენები. იგი პატივისცემით სარგებლობდა კანზას-სიტის სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სამორინოთა მუდმივი სტუმრების სამყაროში. იგი მუდამ ჩაბმული იყო იმ პოლიტიკური კომბინაციებისა და ინტრიგების რთულ ქსელში, რომლებიც მორს სცილდებოდა მისურის შტატის ფარგლებს, სადაც ბოსი პენდერგასტი იყო.

კაპიტალისტთა სახსრებით შექმნილი საარჩევნო „მანქანა" — ძალდატანებისა და ფალსიფიკაციის განშტოებული აპარატი ტომის ნამდვილ სიამაყეს შეადგენდა. ამ მანქანის საშუალებით იგი ქმნიდა ეგრეთწოდებულ „საზოგადოებრივ აზრს" და განაგებდა ამომრჩეველთა ხმებს, უქმნიდა თავისთვის სასურველ კანდიდატებს დემოკრატიისათვის მებრძოლთა რეპუტაციას, ხოლო არასასურველ კანდიდატებს გამყიდველობაში, პოლიტიკურ გახრწნილებაში, ამორალურობაში ამხილებდა.

ტრუმენის არჩევის ისტორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პენდერგასტის დიდი აფიორების რიცხვში. როგორც „ტაიმს ჰერალდი" აღნიშნავს, ამჯერად ტომმა ყოველგვარ რეკორდს გადააჭარბა: ტრუმენის მიერ მიღებული ხმების რაოდენობამ ერთიორად (!), ერთიორად გადაამეტა კანონიერ ამომრჩეველთა რიცხვს. გამარჯვება უზრუნველყვეს „აჩრდილებმა" (ტომის აჩემებული ფანდი!) — მიცვალებულებმა, რომლებიც პენდერგასტელთა დანაშაულებრივმა ხელმა ამომრჩეველთა სიებში შეიტანა და რომლებმაც ერთსულოვნად „მისცეს ხმა" ბატონ ჰარი ტრუმენს.

მემკვიდრეობით გადადის არა მარტო მეფის სკიპტრა და გვირგვინი, არა მარტო დოლარებით სავსე ტომრები, თურმე მემკვიდრეობით გადადის „საარჩევნო მანქანებიც". და განსვენებული ტომის ნაშიერი, მამის სიკვდილის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა მის ბანდას. ორიგინალური მემკვიდრეობის გარდა მას ხვდა აგრეთვე მამილოს კავშირურთიერთობა, ხრიკები და მათი მხილებაც. ტომასის სიკვდილი კრიზისის მხოლოდ დასაწყისი იყო. მის შემდეგ მომხდარმა მხილებამ ძლიერ შეარყია პენდერგასტელთა პოზიციები. მაგრამ თუ ტრუმენმა ადვილად აიცილა სასჯელი — შტატის პროკურორმა გამოაცხადა, რომ იგი იმ დანაშაულობათა თანამონაწილე არ ყოფილა, რომლებმაც მას სენატორის ხარისხი და მაღალი მდგომარეობა მოუტანა, — სხვანაირად წარიმართა პენდერგასტ-უმცროსის და მისი კომპანიის ბედი. მტრებმა გამოიყენეს მისი მარცხი და ჩარლზ ბინაგიომ — პენდერგასტების ძველმა მეტოქემ მონოპოლიებთან სამსახურში — სასტიკად დაამარცხა ისინი 1948 წლის არჩევნებში. მაგრამ ბინაგიო თავისი გამარჯვებით ვერ დატკბა. პენდერგასტის ჯგუფის პასუხი ის იყო, რომ ბინაგიო მოკლეს.

ჯუნგლების კანონი! — იტყოდა ზოგი ჟურნალისტი. მაგრამ განა ასეა? მგლური კანონები ხომ არასოდეს არ ყოფილა ჯუნგლების სპეციფიკა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჯუნგლების კანონები არასოდეს არ ყოფილა ისე კაცთმოძულე, ხარბი, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების კანონები. საქმე თვით პენდერგასტებსა და ბინაგიოებში კი არ არის, არამედ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიურ სისტემაში, რომელიც გარდუვალად წარმოშობს ასეთ ტიპებსა და ასეთ ფაქტებს.

**ა. კარანაძე.**

## მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი

პრაღაში დაიწყო მსოფლიო პირველობის გათამაშების დასკვნითი ასპარეზობა შაიბიან ჰოკეიში.

ფინალური შეხვედრების პირველ დღეს, 9 მარტს, სსრ კავშირის გუნდი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეისტებს. პირველი პერიოდის შედეგი იყო 1 : 0 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ. ჩვენმა ჰოკეისტებმა ასეთივე ანგარიშით მოიგეს მეორე პერიოდი. მესამე პერიოდში ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის ჰოკეისტებს ორი მოთამაშე აკლდათ, მათ შეძლეს ინიციატივის შენარჩუნება და მოიგეს ბრძოლა ანგარიშით 5 : 1.

შეჯიბრება გრძელდება.

## დინამოელებმა ჩემპიონი დაამარცხეს

იმის გამო, რომ სსრ კავშირის ჩემპიონს კალათბურთში — რიგის სკიო-ს 14 მარტს ექნება მატჩი ევროპის თასზე, არმიელთა შეხვედრა თბილისის დინამოელებთან გაიმართა ერთი დღით ადრე — 9 მარტს.

პირველი ტაიმი დამთავრდა 29 : 29.

შეჯიბრების მეორე ნახევარი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ორი ქულით წინ იყვნენ თბილისელები. უკანასკნელ წამში არმიელებმა შეძლეს ბურთის ჩაგდება და ბრძოლა ფრედ — 68 : 68 დამთავრდა.

დამატებით დროში თბილისის დინამოელებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 87 : 79.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სსრ კავშირის სახალხო არტისტის გოჯარ გასპარიანის გასტროლები

ოთხშაბათს, 11 მარტს

შ. გუნო

ფაუსტი და ვალპურგის ღამე

პარასკევს, 13 მარტს

ჯ. ვერდი

ტრავიატა

კვირას, 15 მარტს

I. იოლანტა

II. კონცერტი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის — ადამიანი პლანეტიდან დედამიწაზე, ამირანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი და მეორე დარბაზი), კიროვის სახელობის პარკი — განსაკუთრებული შემთხვევა, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — ორი მოგება, თბილისი — პარმის სავანე (I და II სერია), კომკავშირელი — დუნაის შვილი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ცისფერი ჰორიზონტი, კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი — სამყაროს შექმნა, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი — საათი შუაღამისას გაჩერდა.


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 01177 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2